საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 4 ივლისი. 2018 წ. №136 (8537), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გაჭიანდა ქართული სოფლები!..

5

ადამიანი რომ ბრუნდება საკუთარ სახლში, ხან დათვი ხვდება, ხან – მგელი, ხანაც – გველი!

საპატრიარქო „ქართველი ხალხის ეროვნულ ყრილობას“ ემიჯნება!

საქართველოს საპატრიარქო ემიჯნება 6 ივლისს სპორტის სასახლეში დაგეგმილ „ქართველი ხალხის ეროვნული ყრილობის“ მიზნებსა და გეგმებს და ყრილობასთან მიტროპოლიტ იობის კავშირს უარყოფს, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში.

– როგორც ჩვენთვის მასმედიის საშუალებით ახლახან გახდა ცნობილი, ა.წ. 6 ივლისს თბილისში, სპორტის სასახლეში, იგეგმება „ქართველი ხალხის ეროვნული ყრილობა“, რომელიც, მათი თქმით, მიზნად ისახავს საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლის და ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნას.

ეს არის პოლიტიკური განაცხადი, რისი უფლებაც საზოგადოებას აქვს, მაგრამ შევნიშნავთ, რომ ვრცელდება არასწორი ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ყრილობა იმართება მიტროპოლიტ იობის (აქიაშვილი) კურთხევით, რასაც მეუფე უარყოფს. ასევე გაკეთდა განაცხადი ამ ღონისძიებასთან მიმართებაში კათოლიკოს-პატრიარქის ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, რაც რეალობას საერთოდ არ შეესაბამება. შეკრების მიზნებსა და გეგმებზე როგორც საზოგადოებისთვის, ისე ჩვენთვის ა.წ. 2 ივლისს გახდა ცნობილი და, ბუნებრივია, მას ვემიჯნებით.

კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოს საპატრიარქო პოლიტიკური ხასიათის ამგვარ ღონისძიებებთან დაკავშირებული ვერ იქნება. ეს არის საერო პირთა საქმე და მათი გადასაწყვეტია, მიიღონ მასში მონაწილეობა თუ არა, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

განათლების სისტემაში ვიმკით იმას, რაც დავთესეთ!

7

ტკბილი ოცნება საზარელ რეალობად არ გვექცეს!

6

ნაძღვნა

9

აშშ ევროპაში ახალი იარაღის განთავსებას გეგმავს

აშშ ნატოს სამიტზე ევროპას ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო ბაზებზე მოდერნიზებული ატომური ბომბების განთავსებას შესთავაზებს. ამის შესახებ რუსული სააგენტო „რია“ წერს. სააგენტოს წყაროს ცნობით საქმე ეხება ამერიკული ტაქტიკური ბომბების B61-ის ტრანსფორმაციას, რომლებიც ევროპული მედიის ცნობით 1960 წლიდან განთავსებული არიან გერმანიაში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, იტალიასა და თურქეთში.

ოსები ცინიზმსა და პოპულიზმში გვადანაშაულებენ!

ოკუპირებული „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო საგარეო უწყებამ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის“ სიაზე ასეთი განცხადება გაავრცელა:

„საქართველოში პერმანენტულად არსებული არასტაბილური შიდაპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რომელიც ბოლო დროს განსაკუთრებით გამწვავდა, მივდივართ დასკვნამდე, რომ თბილისმა გადაწყვიტა საქართველოს მოქალაქის, არჩილ ტატუნაშვილის სიკვდილი გამოიყენოს პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად, რაც მოქმედი ხელისუფლების პოპულისტურ ინტერესებს ემსახურება.

ამგვარი ქმედებების ცინიზმი აშკარაა, ვინაიდან ეს ხდება ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებამ 1989 წლიდან 1992 წლის ჩათვლით თავისი ტერიტორიიდან ასი ათასზე მეტი ოსი განდევნა.

ამ სიის გამოჩენა კიდევ ერთხელ ცხადყოფს ოფიციალური თბილისის უპასუხისმგებლო ქმედებებს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის წინაშე საკუთარი დანაშაულის გააზრების შიშს. უდავოა, რომ ამგვარი სასანქციო ქმედებები პოზიტიურ გავლენას ვერ მოახდენს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ატმოსფეროზე“, – ნათქვამია ე.წ. სამინისტროს განცხადებაში.

ე.წ. სამინისტროში აცხადებენ, რომ „სამხრეთ ოსეთი უფლებას იტოვებს, შესაბამისი ზომები მიიღოს განსაზღვრული კატეგორიის საქართველოს მოქალაქეების მიმართ“.

2 ივლისს, საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების ისტორიული პიკი აღირიცხა

საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებამ 2 ივლისს, დაახლოებით 16:00 საათზე, ისტორიულ პიკს მიაღწია. **მიზეზი ტემპერატურის მკვეთრი მატებაა.** „საქართველოს ელექტროსისტემის“ ინფორმაციით, აღირიცხა 1920 მგვტ ელექტროენერგიის მოხმარება, რაც 1980-იანი წლების შემდეგ ზაფხულის პერიოდისთვის რეკორდული მაჩვენებელია.

„ბოლო პერიოდში, მაღალი ტემპერატურის გამო, საქართველოს ენერგოსისტემაში საგრძნობლად გაიზარდა ელექტროენერგიის მოხმარება. მოხმარების აღნიშნული მაჩვენებელი 12%-ით აღემატება შარშანდელი ანალოგიური პერიოდის სიდიდეს. **აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, საქართველოს ენერგოსისტემის ზაფხულის პიკური მოხმარების ზრდის ტემპი აჭარბებს ზამთრის პიკური მოხმარების ზრდის ტემპებს და ეს ტენდენცია მომდევნო წლების განმავლობაშიც შენარჩუნდება“,** – ნათქვამია „საქართველოს ელექტროსისტემის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

კობა დავითაშვილი სააკაშვილსა და მერაბიშვილს „სროკს“ აუცილებლად დაუმატებს

დეპუტატმა **კობა დავითაშვილმა, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ პროკურატურას მიმართა. დავითაშვილი სააკაშვილისა და მერაბიშვილის წინააღმდეგ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მუხლით ძიების დაწყებას ითხოვს.**

როგორც დავითაშვილი აცხადებს, „რუსთავი-2“-ის ეთერში ექსპრეზიდენტმა აღიარა, რომ ჩანაწერი ვანო მერაბიშვილთან ერთად მისი დაკვეთით მომზადდა, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის თანახმად კი, დეპუტატის ფარული მიყურადება აკრძალულია. მისი თქმით, ეს ფაქტი სრულყოფილად არ გამოიძიეს. დავითაშვილის განცხადებით, ყოფილი ხელისუფლების დაკვეთით მასზე სამჯერ მოხდა თავდასხმა, ერთხელ კი ადგილი ჰქონდა მკვლელობის მცდელობას. საუბარია 2006 წელს კობა დავითაშვილის წინააღმდეგ ფარულად მომზადებულ ჩანაწერზე.

„მოვითხოვე მიხეილ სააკაშვილისა და მერაბიშვილის მიმართ გამოძიება დაიწყოს მათი მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, რაც პრაქტიკულად სააკაშვილმა აღიარა „რუსთავი-2“-ის ეთერში. სააკაშვილმა გაანდო საზოგადოებას, რომ ფარული ჩანაწერი, რომლის გაკეთებაც კანონით დეპუტატის მიმართ აკრძალული იყო, განხორციელდა მერაბიშვილის მიერ სააკაშვილთან შეთანხმებით. მან სააკაშვილს ახარა, რომ დავითაშვილს პოლიტიკურ გვამად აქცევდნენ. მადლობა მინდა გადავუხადო ნიკა გვარამიას, მან მრავალი წლის დაგვიანებით გაიხსენა, რომ ოდესღაც პროკურორის მოადგილე იყო და ეთერში დაჰკითხა მიხეილ სააკაშვილი. ჩემ მიმართ იმდენი უბედურება მოხდა, ერთმანეთში ერევა ყველას. სამი თავდასხმა, ერთი მკვლელობის მცდელობა. ამაზე არ აღძრულა საქმე. მაშინ ეს ყველაფერი გაფორმდა როგორც სუფრის წევრის პირადი მასალა, რომელმაც მიაწოდა მედიას ჩანაწერი. ეს ადამიანი ავარიაში გარდაიცვალა. მე ამ გარემოებების გამოძიებასაც მოვითხოვ. ვფიქრობ, მოწმე, სააკაშვილის ხელისუფლებამ მოიშორა. გამოძიებას ვითხოვ იმ საქმეზე, რაც აქამდე არ ყოფილა. მაშინ მოქმედი „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მიხედვით არ შეიძლებოდა ჩანაწერის მომზადება. მათ კონფიდენტის მეშვეობით გაავრცელეს „რუსთავი-2“-ის ეთერში ჩემი პოლიტიკური მკვლელობის მიზნით, ეს უკანონო მიყურადება იყო“, — განაცხადა კობა დავითაშვილმა.

საქართველოს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დელეგაცია ეწვევა

4-6 ივლისს, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძის მოწვევით, საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის კომისიის „პარტნიორობა დემოკრატიისთვის“ დელეგაცია ეწვევა.

დელეგაციის წევრები შეხვედრებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, თავმჯდომარის პირველ მოადგილე თამარ ჩუგოშვილთან, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ არჩილ თალაკვაძესთან, კომიტეტების თავმჯდომარეებთან და საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან გამართავენ.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის კომისიის დელეგაციის ვიზიტის მიზანი უსაფრთხოების სფეროს საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებით, საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსთვის კონსულტაციებისა და რეკომენდაციების გაწევაა. დელეგაციის შემადგენლობაში აშშ-ის კონგრესის ეთიკის ოფისის სამეთვალყურეო საბჭოს, აშშ-ის ადმინისტრაციის, თავდაცვის დეპარტამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან.

პარლამენტის რამდენიმე კომიტეტმა რეორგანიზაციას მხარი დაუჭირა

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობისა და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტებმა გაერთიანებულ სხდომაზე მთავრობის სტრუქტურულ რეორგანიზაციას მხარი დაუჭირა.



სხდომაზე არსებული სახით სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წინააღმდეგობა გამოხატა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა. მან კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს ასევე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზეც, თუმცა განათლების კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა კანონპროექტის მხარდაჭერისგან თავი შეიკავა.

გვეშველა! ჯანდაცვისა და დევნილთა სამინისტროს დასახელება შეიცვლება

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დიმიტრი ხუნდაძე, ჯანდაცვისა და დევნილთა სამინისტროების გაერთიანების შედეგად მიღებული ახალი სამთავრობო უწყების დასახელებას არ ეთანხმება და მის შეცვლას ითხოვს.

ამის შესახებ მან განცხადება კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა, სადაც მთავრობის სტრუქტურული ცვლილებების შესახებ კანონპროექტთა პაკეტს განიხილავენ. როგორც დიმიტრი ხუნდაძემ აღნიშნა, ის არ ეთანხმება მთავრობის სტრუქტურის იმ ნაწილს, სადაც გაერთიანებული ორი სამინისტრო შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

„ვფიქრობ, რომ აღნიშნული ფორმულირება არასწორია. თუ ამ დასახელებას მივყვებით, გამოდის, რომ ეს არის დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შესაცვლელია ფორმულირება და შესაძლებელია, გაერთიანებული სამინისტროების დასახელება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო“, — აღნიშნა დიმიტრი ხუნდაძემ კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე.

ხუნდაძის ინიციატივას სხვა დეპუტატებიც დაეთანხმნენ. ჯანდაცვის კომიტეტმა კი სტრუქტურულ ცვლილებებს იმ პირობით დაუჭირა მხარი, რომ გაერთიანებული სამინისტროების დასახელება შეიცვლება.

NGO-ები: მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესს ჩამოშორდეს იუსტიციის მინისტრი!

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ მთავარი პროკურორის მოქმედი წესით შერჩევის პროცესის შეჩერებას ითხოვს. კოალიციის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მოქმედი წესით მთავარი პროკურორის არჩევის პროცესში დიდია იუსტიციის მინისტრის როლი, რაც თანამდებობაზე დამოუკიდებელი კანდიდატის შერჩევის შანსებს ამცირებს.

როგორც კოალიციის წევრი ორგანიზაციები აღნიშნავენ, რამდენიმე თვეში საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარე, პროკურატურა ყალიბდება სამთავრობო კაბინეტისგან დამოუკიდებელ ორგანოდ. ამდენად, კოალიციის პოზიციით, საჭიროა ახლა მთავარი პროკურორის არჩევა მოხდეს უკვე რეფორმირებული, ახალ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი წესით.

კოალიციის წევრი ორგანიზაციები მოუწოდებენ ხელისუფლებას:

— შეჩერდეს მოქმედი წესით მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესი;

— განხორციელდეს ძირეული ცვლილებები მთავარი პროკურორის შერჩევის წესში;

— პროცესს ჩამოშორდეს იუსტიციის მინისტრი.

იუსტიციის სამინისტროში პენიტენციური სამსახური შეიქმნება

იუსტიციის სამინისტროში სასჯელაღსრულების სამინისტროს გაერთიანების შემდეგ, პენიტენციური სამსახურის სპეციალური საქვეუწყებო დაწესებულება შეიქმნება, — ამის შესახებ იურიდიული კომიტეტის სხდომაზე, სადაც სტრუქტურულ ცვლილებებს განიხილავენ, სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილემ სანდრო დარახველიძემ განაცხადა.

„წარმოდგენილი პაკეტის თანახმად, იქმნება იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი სპეციალური საქვეუწყებო დაწესებულება — პენიტენციური სამსახური, რომელიც მოიცავს იმ ფუნქციებს, რაც დაკავშირებულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებასთან. იუსტიციის სამინისტროში გადადის საგამოძიებო დეპარტამენტიც“, — განაცხადა დარახველიძემ.

აზერბაიჯანში ელექტროსადგურზე ავარია მოხდა

აზერბაიჯანში **მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურზე ავარიის გამო ბაქოს დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ადგილობრივი მედიის ცნობით ავარია ცხელმა ამინდმა გამოიწვია.**

სადგურზე აღდგენითი, სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. დედაქალაქისთვის ელექტროენერგიის მიწოდება უკვე აღსდგა.

საქართველოს საზღვარზე დიდი რიგებია

აზერბაიჯანში **მინგეჩაურის თბოელექტროსადგურზე ავარიამ აზერბაიჯანის საბაჟო კომიტეტის ერთიანი ავტომატიზებული მმართვის სისტემის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვია.** ამის გამო აზერბაიჯანი-საქართველოს „სინიგ კერპიუს“ გამშვები პუნქტის მუშაობა შეფერხდა, საზღვარზე გადამსვლელთა მსურველების რიგი დადგა. ამ დროისათვის ხარვეზი გასწორდა, საბაჟომ მუშაობა განაახლა, აზერბაიჯანული მხარე ვარაუდობს, რომ რიგიც შეთხელდება.

დარიალის ხეობაში, ლარსის გამშვებ პუნქტზე სომხეთის 1500 სატვირთო დგას

სომხეთის ტრანსპორტის სამინისტრო ქართველ და რუს კოლეგებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს, საქართველო რუსეთის საზღვრის ლარსის გამშვებ პუნქტზე დიდი ოდენობით სომხეთის სატვირთო მანქანები დგას.

მათი რაოდენობა, სომხეთის მედიის ცნობით, 1500-ზე მეტია. ტრაილერების მძღოლები საბაჟოების ნელა მუშაობას უჩივიან. სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროს პრესმდივანმა ანაით არაკელიანმა „არმენპრესს“ განუცხადა, რომ სამინისტრო რუს და ქართველ კოლეგებს საზღვრის გავლის სისტემის გაადვილების შესახებ ესაუბრება.

შეჩვევა უნდა ყველაფერს!..

ღამის დისტრიბუციის ამოქმედების შემდეგ, შეიძლება, თბილისში მცირე და საშუალო მაღაზიები დაიხუროს

გადატვირთული მოძრაობა თბილისის ქუჩებში ბოლო პერიოდის მუდმივი პრობლემაა. მდგომარეობის განსატვირთად თბილისის მერმა კახა კალაძემ, წინა მორბედი მერის მსგავსად, თბილისში ე.წ. ღამის დისტრიბუციის ამოქმედება გადაწყვიტა. დედაქალაქის მთავრობის დადგენილებით, სადისტრიბუციო ქსელის ოპერატორებს გადაადგილების განრიგი განესაზღვრება.

თუმცა, სადისტრიბუციო კომპანიები თვლიან, რომ ცვლილებები ქალაქს საცობისგან ვერ გაანთავსუფლებს. სამაგიეროდ, რეგულაციები მეწარმეებს შეუქმნით პრობლემას და პროდუქციის გასაღებას შეამცირებს.

ბიდი პლუსის გენერალური მენეჯერი **არჩილ კოკაშვილი**: **„ღამის დისტრიბუციაზე გადასვლა კადრების დამატებას გამოიწვევს, რაც ხარჯებს გაზრდის. შესაბამისად, ზედნადები ხარჯები დააწვება პროდუქციის ღირებულებას, რომელიც თავისთავად თაროებზე ფასის მატებას გამოიწვევს. მე როდესაც პროდუქტს სამი პროცენტით გავაძვირებ, მაღაზია უკვე იძულებული იქნება, ფასები 5 პროცენტით გაზარდოს“.**

ამ მოსაზრებას ეთანხმება „ბიდი კომპანი“-ს გენერალური დირექტორი **სოლომონ ნავდარაშვილიც**. მისი განცხადებით, ღამის საათებში მოძრაობა ეკონომიკური კუთხით უარყოფით შედეგს გამოიღებს. ამას ემატება ქვეყანაში გაზრდილი კრიმინოგენური მდგომარეობა, რაც ღამის საათებში დისტრიბუტორებს უფრო მეტ საფრთხეს უქმნის.

მეტიც, როგორც წვრილი და საშუალო მარკეტების წარმომადგენლები აცხადებენ, პროცესებმა შესაძლოა, მცირე და საშუალო მაღაზიები დახურვის საფრთხის წინაშე დააყენოს.

სამაგიეროდ, ცვლილებები მისაღებია მაღაზიათა დიდი ქსელებისთვის.

„ორი ნაბიჯის“ ლოჯისტიკის მენეჯერი **ლაშა ღარიბაშვილი**: **„დღის საათებში მოსული დისტრიბუტორები, ვინაიდან მაღაზიის პერსონალს გარკვეულ დროს ართმევენ, პროდუქციის მითვლამიღებაში ეს დრო გათავისუფლდება მაღაზიისთვის. შესაბამისად მაღაზიას უფრო მეტი რესურსი ექნება, მიაქციოს გაყიდვებს ყურადღება“.**

დისტრიბუტორთა ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი **ივა ჟყონია** ამბობს, რომ აუცილებელია თბილისის მერიამ ჩაატაროს კვლევა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ტრაფიკის დრო, დისტრიბუტორთა ასოციაციამ მერიას თანამშრომლობაც შესთავაზა თუმცა, მათ ამ დრომდე არანაირი პასუხი არ მიუღიათ.

ამ საკითხზე კომერსანტთან საუბარში მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი **მამუკა მუმლაძე** განმარტავს, რომ თბილისის მერია მუდმივად ახდენს ნაკადების დათვლას დედაქალაქის 180 ლოკაციაზე, სადაც შუქნიშნებზე მთვლელებია განთავსებული.

„ჩვენ გვაქვს 112-ში ცენტრი, საიდანაც პირდაპირი ჩანაწერის მეშვეობით ხდება ნაკადების დათვლა, თუ რომელი კვანძები რა პერიოდში არის დატვირთული. ჩემთვის გაუგებარია, რა ტიპის კვლევა უნდა ჩატარებულიყო, როდესაც იდენტიფიცირებულია კონკრეტული ქუჩები, სადაც პრობლემები იქმნება“, — ამბობს მამუკა მუმლაძე.

ამ პრობლემის დარეგულირებაში ჩართული იყო ბიზნესომბუდსმენიც. მას შეხვედრებიც ჰქონდა მერიის შესაბამის სტრუქტურებთან. **ირაკლი ლექვინაძე** იზიარებს ივა ჭყონიას მოსაზრებას, რომ ცვლილებები მნიშვნელოვნად აისახება სავაჭრო საცალო მაღაზიებზე. მისი თქმით, აღნიშნული რეგულაციის ამოქმედება ეტაპობრივად უნდა მოხდეს, რათა მცირე სავაჭრო ობიექტები ცვლილებებს მომზადებულები დახვდნენ.

„რა თქმა უნდა, შესაძლებელია დროთა განმავლობაში ღამის დისტრიბუციის რეგულირება მოხდეს და ეს გადაეწყოს მთლიანად ამ მიმართულებაზე. მაგრამ არ უნდა მოხდეს სწრაფად, უნდა იყოს დროში გაწელილი, რათა ყველა სადისტრიბუციო კომპანიას, მცირე თუ საშუალო სავაჭრო ობიექტს, ადაპტირებისთვის შესაბამისი დრო მიეცეს“, — აცხადებს ირაკლი ლექვინაძე.

ბაჩო ადამია

თბილისური პრობლემები

ამერიკელი პროფესორის ჩანაწერები

აშშ-ის პენსილვანიის შტატის გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია თბილისის ერთ-ერთ სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კურსის წასაკითხად მოწვეული სპეციალისტის შთაბეჭდილებები.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს ნენსი ჰონიკერის ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის ქართულენოვან ვერსიას.

„პარიზიდან თბილისში ჩასვლა კიევის გავლით გადავწყვიტე. გუგლის მეშვეობით თბილისში ბინაც დავიქირავე. სამწუხაროდ, უკრაინის ავიაკომპანიის პარიზი-კიევის თვითმფრინავში არც საკვები არ ჩამოუტარებიათ, არც ყავა. მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი. რაც შეეხება კიევი-თბილისის რეისს, მგზავრები წინასწარ იყვნენ მომზადებული — მათ პაკეტებში გახვეული საჭმელი ამოიღეს (ალბათ, მაკდონალდსიდან) და სულ მალე თვითმფრინავში ამერიკული სწრაფი კვების რესტორნის სუნი დადგა. ჩემ გვერდით მჯდომმა ქალბატონმა და მისმა გოგონამ საჭმელი მიწილადეს და ცოტა მოვცოცხლდი.

ჩვენი თვითმფრინავი თბილისში დღის მეორე ნახევარში დაეშვა. ავიღე ბარგი, ბანკში ფული ქართულ ეროვნულ ვალუტაში გადავცვალე, ქუჩაში გამოვედი, რომ ავტობუსით ქალაქში წავსულიყავი. ერთ-ერთი მამაკაცი მომიახლოვდა და ტაქსით წასვლა შემომთავაზა, იაპონიური მარჯვენასაჭიანი ავტომანქანით. საერთოდ, საქართველოში, ისევე როგორც აშშ-ში, მარჯვენა მხარის მოძრაობაა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში ნახმარი ავტომანქანების ბაზარი ყვავის — საკმაო რაოდენობის იაფფასიანი ავტომობილების იმპორტი ხდება იაპონიიდან, სადაც, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, ქუჩაში მარცხენა მხარის მოძრაობაა.

ტაქსისტმა მგზავრობისთვის ისეთი ფასი მითხრა, რომელიც, ქალაქამდე მანძილის გაანგარიშებით (12 მილი) პარიზთან შედარებით ბევრად იაფი იყო, ამიტომ დავთანხმდი.

როგორც იქნა, საბჭოთა პერიოდის დროინდელ ფერგადასულ მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებთან მივედით. მძღოლი გაკვირვებული მიყურებდა, რადგან ასეთ შენობებში ტურისტები არ ცხოვრობენ. მოკლედ, რამდენიმე წუთში მე უკვე „ჩემს ბინაში“ ვიყავი. მომეწონა, რადგან სარკმლიდან მთიანი პეიზაჟი მოსჩანდა, ქალაქის ხმაური კი ჩემგან შორს იყო. რადგანაც ძალიან მშიოდა (მთელი დღე მხოლოდ ერთ ჰოთდოგზე ვიყავი), ქუჩაში გავედი და ახლადგამომცხვარი ადგილობრივი პური ვიყიდე, რომელიც ისეთი ცხელი იყო, ხელში ძლივს მეჭირა. ასევე შევიძინე კიტრი, პომიდორი, ყველი, არომატული ადგილობრივი თაფლი. ბინაში დავბრუნდი, გემრიელად ვივახშმე და ძილისთვის მოვემზადე: ხვალ დილით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა უნდა დამეწყო მოწვეული ლექტორ-პროფესორის სტატუსით.

დილით სწრაფად ვისაუზმე, ჩანთაში წიგნები ჩავალაგე, ავიღე ნოუთბუქი და ვეძებ პაკეტს, რომელშიც პასპორტი, საბანკო ბარათი და ნაღდი ფული მედო. მთელი ბარგი და ბინა გადავატრიალე, მაგრამ ვერსად მივაგენი. დრო მიდიოდა, მე კი ლექციაზე მაგვიანდებოდა. მღელვარებისაგან პირი გამიშრა. ბოლოს, ონლაინ-რუკის წყალობით, ავტობუსის გაჩერებაზე გავედი. პარიზიდან რომ მოვდიოდი, ყველა მეუბნებოდა, რომ თბილისში ინგლისურ ენაზე კარგად ლაპარაკობენ და ყველა წარწერა ინგლისურ ენაზეც არისო. ქალაქში უკვე 24 საათი ვიმყოფებოდი და შევამჩნიე, რომ ეს მთლად ასე არ იყო. ქართულ შრიფტს, რასაკვირველია, ვერ ვკითხულობდი (დამწერლობა მე-5 საუკუნეშია შექმნილი), მაგრამ ციფრები „51“ კარგად გავარჩიე. ავტობუსში სწრაფად ავედი, რომელსაც, ჩემი აზრით, სწორედ უნივერსიტეტთან უნდა მივეყვანე. მივდივართ... გავიარეთ ხიდი მდინარე მტკვარზე, გადავჭერით დიდი მოედანი... შევშფოთდი — სად უნდა ჩამოვიდე? ერთ-ერთ ახალგაზრდა ქალს, ალბათ, სტუდენტი იყო, ინგლისურად ვკითხე და მან, საბედნიეროდ, ამიხსნა, რომ ერთი გაჩერების შემდეგო.

შევედი უნივერსიტეტში, ვიპოვე 212-ე აუდიტორია. სტუდენტებს მივესალმე, ავუხსენი, ვინც ვიყავი, მათ კი სიცილი დაიწყეს: თურმე შეცდომით ტექნიკურ (საინჟინრო) უნივერსიტეტში მოვსულვარ. სამწუხაროდ, სტუდენტებიდან ვერავინ მიმახვედრა გასაგებად ინგლისურ ენაზე, თუ როგორ მივსულიყავი იქ, სადაც მიწვეული ვიყავი. ბოლოს, ერთ-ერთმა თანამშრომელმა ამიხსნა და ფეხით სწრაფად გავუყევი დაღმართ-აღმართებს. როგორც იქნა, ოფლში გაწურულმა მივაღწიე უნივერსიტეტს, მივედი 212-ე აუდიტორიაში, რომელიც დაკეტილი დამხვდა, მაგრამ სტუდენტები მელოდებოდნენ, გააღებინეს და შევედით. მათ მოკლედ მოვუყევი ჩემი ისტორია, რომელიც განსაკუთრებულად სტუდენტმა გოგონებმა გულთან მიიტანეს. როცა ლექცია დავასრულე, ჩემი მიმწვევი თბილისელი პროფესორი უკვე მელოდებოდა. მას ჩემი პრობლემების შესახებ მოვუყევი, თუმცა მხოლოდ მხრები აიჩეჩა და მაგრძნობინა, რომ ეს საკითხი არ ეხებოდა. სამწუხაროდ, იძულებული გავხდი ნირწამხდარი ქუჩაში გავსულიყავი: ჯიბეცარიელი და იდენტიფიცირების დოკუმენტის — პასპორტის გარეშე. მადლობა ღმერთს, რომ ერთ-ერთი სტუდენტი, სახელად ლელა, უკან გამომყვა და შემომთავაზა, ცოტაოდენ ფულს გასესხებო.

დავბრუნდი ჩემს ბინაში, ისევ ძებნა დავიწყე, მაგრამ ისევ უშედეგოდ: არც ფული, არც საბანკო ბარათი, ყველაფერი გაქრა. მარტო ვარ უცხო ქალაქში... პასპორტის გარეშე. ასე დაიწყო ჩემი ცხოვრება თბილისში, ჯიბეში მხოლოდ 10 დოლარით“...

„REPUBLICAN HERALD“ (აშშ)

ზაზა სარალიძე: შევთანხმდით, რომ კვირის ბოლომდე რადიკალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას...

— გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით ვისაუბრეთ. გავიარეთ ყველა ჩვენება, რაც მიხეილ კალანდიას წინააღმდეგ არსებობს საქმის მასალებიდან გამომდინარე. შევთანხმდით იმაზე, რომ კვირის ბოლომდე რადიკალური ნაბიჯები უნდა გადაიდგას და აქ აღარ გავჩერდები, გარეთ გავალ. დღევანდელ ღამეს აქ არ გავატარებ, — განაცხადა ჟურნალისტებთან ზაზა სარალიძემ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მისი თქმით, შეხვედრას შს მინისტრი გიორგი გახარია არ დასწრებია, თუმცა შეხვედრით კმაყოფილია. — **დავარწმუნეთ იმაში, რომ საკმარისი მტკიცებულებებია იმისთვის, რომ კალანდიას ბრალი წარედგინოს. შევთანხმდით კვირის ბოლომდე რადიკალური ნაბიჯების გადადგმაზე, თუმცა ამაზე კონკრეტულად არ ვისაუბრებ იქიდან გამომდინარე, რომ რაღაც მოცემულობას ხელი არ მინდა შეეშალოს. რაც შეეხება იმას, თუ რა მითხრეს კალანდიასთან დაკავშირებით, კონკრეტულად ვისაუბრეთ, მაგრამ დეტალებს ვერ მოგახსენებთ, რათა ხელი არ შევუშალო პროცესს,** — აცხადებს სარალიძე.

მიწის რეგისტრაციის ვადა გახანგრძლივდა!

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც მოქმედების ვადა მიმდინარე წლის 1 ივლისს ეწურებოდა, 6 თვით გაგრძელდა. საქართველოს პარლამენტმა საკითხი გამარტივებული წესით განიხილა და მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, მოქალაქეებს 2019 წლის 1 იანვრამდე ექნებათ საშუალება შეღავათიან პირობებში და უსასყიდლოდ დაარეგისტრირონ თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწები.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამა გამარტივებული პროცედურით 2016 წლის 31 ივლისს ამოქმედდა.

- რეფორმის დაწყებიდან ინდივიდუალური წესით რეგისტრირებულია 486 100-ზე მეტი მიწის ნაკვეთი.
- რეგისტრირებული მიწის ჯამურმა ფართობმა 214 973 ჰექტარი შეადგინა.
- მიწის გამარტივებული რეგისტრაცია 12 საპილოტე რეგიონში მიმდინარეობს.

მოქალაქეებს 2019 წლის 1 იანვრამდე ექნებათ საშუალება შეღავათიან პირობებში და უსასყიდლოდ დაარეგისტრირონ თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწები.

კანონპროექტი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონში ცვლილებების შესახებ 28 ივნისს დეპუტატებს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ოთარ დანელიამ** წარუდგინა და ფერმერებს მოუწოდა, ისარგებლონ მიწის რეგისტრაციის შეღავათიანი პირობების მოქმედების ვადის გახანგრძლივებით.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამა გამარტივებული პროცედურით 2016 წლის 31 ივლისს ამოქმედდა. რეფორმა წარიმართა როგორც ინდივიდუალური, ანუ სპორადული, ისე სისტემური წესით. რეფორმის დაწყებიდან ინდივიდუალური წესით რეგისტრირებულია 486 100-ზე მეტი მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამურმა ფართობმა 214 973 ჰექტარი შეადგინა. რაც შეეხება სისტემურ რეგისტრაციას, იგი 12 საპილოტე რეგიონში მიმდინარეობს. ამ ეტაპზე სისტემური რეგისტრაცია მხოლოდ 7 საპილოტე არეალზე განხორციელდა, დარეგისტრირდა 17 785 მიწის ნაკვეთი, რომლის ჯამური ფართობი 7 915 ჰექტარია.

ეს ოფიციალური მონაცემები, თავის მხრივ, ბევრს ვერაფერს ეუბნება პროცესის სამოქალაქო მონიტორებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად მიწის რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურების და გარკვეული პოზიტიური ცვლილებებისა, დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი კვლავ დაურეგისტრირებელია და **პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, რა ფართობის მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს, რა ფართობია კერძო საკუთრებაში, მათ შორის მიწის რა ფართობია სრულყოფილად დარეგისტრირებული და ასე შემდეგ.**

როგორც ISET-ის პროექტის „რეფორმეტრის“ მენეჯერი **გიგლა მიძაუტაძე** აღნიშნავს, ბოლო ოცი წლის განმავლობაში სახელმწიფომ და დონორებმა ბევრი ფული დახარჯეს მიწის რეგისტრაციის საკითხის მოსაგვარებლად, თუმცა, ამის მიუხედავად, ხელშესახები შედეგი მაინც არ გვაქვს:

რაც შეეხება რეკომენდაციებს, ISET სახელმწიფოს, პირველ რიგში, მიწის მართვის ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას ურჩევს. კერძოდ, ორგანიზაციაში ფიქრობენ, რომ უნდა შეიქმნას უწყებათშორისი ორგანო, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით ეტაპობრივად განახორციელებს მიწის სისტემურ რეგისტრაციას. არანაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევა პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაც. თავის მხრივ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განგვიმარტეს, რომ მონაცემები მუდმივი განახლების რეჟიმშია და ღიაა ყველა მომხმარებლისთვის, რომელიც რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდს გახსნის. მათივე შეფასებით, რეფორმის წარმატებულობაზე, გარდა წარმატებით დასრულებული რეგისტრაციებისა, მეტყველებს ასევე მოქალაქეთა მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებელი, რაც რეფორმის ამოქმედების შემდეგ საშუალოდ ხუთჯერაა გაზრდილი.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან განსხვავებით, პროცესს წარუმატებლად მიიჩნევს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მთავარი იურისტი **თეონა ზაქარაშვილი**:

თეონა ზაქარაშვილი ფიქრობს, რომ მოდელმა, როდესაც სახელმწიფო ელოდება, მოქალაქე როდის მივა მასთან, არ გაამართლა და საჭიროა, იგი ჩანაცვლდეს მსოფლიოში კარგად აპრობირებული ეგრეთ წოდებული სისტემური მოდელით, როდესაც სახელმწიფო თავად მიდის მოქალაქესთან, არკვევს მიწის მესაკუთრეებს და არეგისტრირებს. იგი იმედოვნებს, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით წავა და სწორედ ამას ნიშნავდა პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ლაკონური განმარტებაც, მთავრობა მოსახლეობას მიწის რეგისტრაციის ახალ ხედვას შესთავაზებსო.

ნონა მჭედლიშვილი

სასაცილოა, საფირალი რომ არ იყოს!

ვახტანგ ჭარაია: ხუდონჰესის მშენებლობისთვის 10 ინჟინერი ვერ იპოვეს და 8 ინდოეთიდან ჩამოიყვანეს

„კომპანიები იძულებულები არიან, უცხოელი სპეციალისტები დაიქირაონ. შესაბამისად, იმ კომპანიის მოგება არ ისახება საქართველოს მოქალაქეზე, რადგან ხელფასის სახით გაცემული თანხა ქვეყნიდან გაედინება“, – ამის შესახებ „კომერსანტს“ ეკონომიკის დოქტორმა, პროფესორმა **ვახტანგ ჭარაიამ** განუცხადა. მისი განმარტებით, დღეს საქართველოში კადრების გადამზადება სხვადასხვა მიმართულებებით არ ხდება.

მისი ინფორმაციით, ქვეყანაში კადრების გადამზადების პროგრამები მუშაობს, მაგრამ ისეთი პრიმიტიული მიმართულებებით, როგორიცაა სასტუმროს მენეჯერი,შეფ-მზარეულის მიმართულებით. საჭიროა კადრის გადამზადება მაღალტექნოლოგიური, კომპიუტერული მიმართულებებითაც. კარგი იქნება გაჩნდეს ახალი პროფესიული გადამზადების ცენტრები.

„დღეს სამშენებლო ინდუსტრიაში თუ რაიმე ტიპის პროცედურა თანამედროვე ტექნოლოგიას უკავშირდება, უცხოელები, განსაკუთრებით კი თურქები ჩამოჰყავთ. დღეს ქვეყანაში კვალიფიციური შემდუღებელიც კი არ არსებობს. მარტო ცოდნაც არ არის საკმარისი, ამისი დამადასტურებელი სერტიფიკატიც ხომ საჭიროა? საქართველოში კი შესაბამისი კურსები არ არსებობს. ამის გამო კომპანიები იძულებულები არიან, უცხოელი სპეციალისტები დაიქირაონ“, – აცხადებს ჭარაია.

მისი თქმით, განსაკუთრებით პრობლემურია ხოლმე ტექნიკური პერსონალის სპეციალიზაცია. ამის მაგალითად ჭარაიას ჰიდროელექტროსადგურების მშენებელობა მოჰყავს და პროცესში პროფესიონალი კადრის მოძიების პრობლემაზე საუბრობს.

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მილიონი პროფესია არსებობს, არის ათასი კათედრა, რომელიც ამ მიმართულებით სპეციალისტებს ამზადებს. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ქართულ ბაზარზე საქართველოში კურსდამთავრებულები ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე სტანდარტებს და არა აქვთ ის ცოდნა, რაც საჭიროა ჰესების მშნებელობის და შემდგომი მუშაობისთვის. ხუდონჰესს 10 ინჟინერი სჭირდებოდა, გამოაცხადეს ვაკანსია, არავინ მივიდა. შემდეგ ტექნიკურ უნივერსიტეტს მიაკითხეს, 10 ადამიანი ვერ ნახეს. მხოლოდ 2 სპეციალისტი შეარჩიეს და 8 ინდოეთიდან ჩამოიყვანეს“, – აცხადებს ჭარაია.

მისივე განცხადებით საჭიროა, უნივერსიტეტებმა გააძლიერონ ბაზრის მოთხოვნისადმი ადეკვატური სამუშაო ადგილების შეთავაზება და შესაბამისი კვალიფიკაციის მიწოდება, თუმცა, არა მხოლოდ საბუთის, არამედ მომზადების თვალსაზრისით!

„კიდევ ერთი მიმართულებაა შრომის ინსპექტორები. კანონი მივიღეთ, რომ ქვეყანაში შრომის ინსპექტორებმა უნდა შეამოწმონ ყველა საწარმო. ასეთ დროს ასეთი სპეციალისტების რიცხვი, ჯამში 25-ია. ესენიც უცხოელებმა გადაამზადეს. მუშაობა ამ მიმართულებითაც საჭიროა“, – აცხადებს ჭარაია.

სოფო ქსოვრელი

რატომ იზრდება საწვავის ფასები საქართველოში?!

ბოლო სამი კვირის განმავლობაში ზოგიერთ „ბრენდირებულ“ სადგურზე საწვავი გაძვირდა. ექსპერტთა შეფასებით, საქართველოს ბაზარზე ფასების ცვლილება სწორედ მსოფლიო ბაზარზე ფასების ცლილებამ გამოიწვია.

საქართველოს ბაზარზე საწვავზე გაზრდილ ფასთან დაკავშირებით „კომერსანტთან“ საკუთარ პოზიციას გამოხატავს ნავთობიმპორტიორთა კავშირშის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** და რამდენიმე ობიექტურ მიზეზს ასახელებს. კერძოდ, მისი განმარტებით, ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საერთაშორისო ფასებია, რომელიც ნავთობპროდუქტებზე „S&P Global Platts“-ის მიხედვით მარტის თვიდან დღემდე გაზრდილია საშუალოდ 120-130 დოლარით (ტონაზე), ანუ 21%-ით ბენზინის შემთხვევაში 600 დოლარიდან 727 დოლარამდე, დიზელის საწვავის შემთხვევაში – 560 დოლარიდან 662 დოლარამდე, ანუ 18%-ით.

მთვრალაშვილის ინფორმაციით, ნავთობის ფასი მარტის თვიდან დღემდე გაზრდილია ლონდონის ბირჟაზე – 65,71 დოლარიდან (ბარელზე) 79,44 დოლარამდე. ნიუ-იორკის ბირჟაზე 60.99 დოლარიდან 74.14 დოლარამდე (ბარელზე).

შესაბამისად, ჩვენს საცალო ქსელშიც მოხდა ფასების მატება სხვადასხვა ოპერატორის მიერ სხვადასხვა მოცულობით. საშუალოდ ფასი გაზრდილია 15-20 თეთრით (ლიტრზე). თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე მაღალი ფასები ასევე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ 2017 წლის 1 იანვარს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედეგად ამოქმედდა აქციზის გადასახადის ახალი განაკვეთი.

კერძოდ, ბენზინის საწვავის შემთხვევაში აქციზის გადასახადი 1 ტონა ბენზინზე გაიზარდა 250 ლარიდან 500 ლარამდე, ხოლო დიზელის საწვავზე – 150 ლარიდან 400 ლარამდე. ამან გამოიწვია საწვავის ფასის ზრდა საშუალოდ 20-25 თეთრით (ლიტრზე).

მთვრალაშვილის ინფორმაციით, საცალო ქსელში ფასების სამომავლო ტენდენციები დამოკიდებული იქნება უახლოესი კვირების განმავლობაში საერთაშორისო ფასზე, თუ როგორ ტრენდს შეინარჩუნებს ის, ვინაიდან სამომავლოდ იმპორტის განხორციელების დროს კომპანიები შესაბამისი ფასებით იხელმძღვანელებენ.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი **პაატა ბაირახტარი** კი bfm-სთან განმარტავს, რომ ნავთობზე ფასების ზრდა ეკონომიკურ პროცესებთან შეუსაბამოდ მოხდა, რადგან ჩვენთან ფასების ზრდა უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე ეს მსოფლიო ბაზარზე დაიწყებოდა. ეს ყველაფერი კი იმ არაჯანსაღმა გარემომ გამოიწვია, რომელიც დღეს ქვეყანაში გვაქვს.

„იმდენად რამდენადაც მსოფლიო ბაზარზე ნედლი ნავთობის ფასის მატება გამოწვეული იყო მხოლოდ ტექნიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორებით, ეს ხანგრძლივი პროცესი არ ყოფილა და ძალიან მალე, თითქმის ერთი თვის განმავლობაში ფასები მოდიოდა მსოფლიო ბაზარზე დაღმასვლისკენ და იმაზე დაბლაც კი ჩამოვიდა ფასები სანამ მატების ტენდენცია იქნებოდა. აი, ამ მომენტში ქართულ კომპანიებს არ გაუკეთებიათ არანაირი საფასო ცვლილება, მათ დატოვეს ის გაზრდილი ფასები, რითაც დაიწყეს ფასების მატება. თუ ჩვენ რეალურად მსოფლიო ბაზარზე ფასების მატების ტენდენცია ავსახეთ ქართულ ბაზარზე, მსოფლიო ბაზარზე ფასების შემცირების ტენდენცია არ აგვისახავს. ამაზე ყველა კომპანიამ თვალი დახუჭა. უკვე 2 დღეა, ნედლი ნავთობის ფასი იზრდება. დაახლოებით 6 დოლარით არის VTI-ის ტიპის ნავთობის ფასი გაზრდილი. უნდა ველოდოთ, რომ ამასაც თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებენ კომპანიები და თუ ეს ტენდენცია მსოფლიო ბაზარზე შენარჩუნდა, კიდევ ახალ ტალღას უნდა ველოდოთ ნავთობის ფასების მატების“, – აცხადებს პაატა ბაირახტარი.

გაჭიანდა ქართული სოფლები!..

ადამიანი რომ ბრუნდება საკუთარ სახლში, ხან დათვი ხვდება, ხან - მგელი, ხანაც - გველი!

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში უამრავი მიწა მოიხნა, მაგრამ, როგორც შედეგმა აჩვენა, უფასო ხვნა-თესვა გამოსავალი არ ყოფილა. ჩამბარებელი პუნქტების, საწარმოების, პროდუქციის გასაღების გარეშე გლეხის შრომა აზრს კარგავს.

რას გააკეთებს ახალი პრემიერი საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის და რა გამოწვევებთან მოუწევს გამკლავება, ამის შესახებ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გაეროს სერტიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში ანზორ მესხიშვილი გვესაუბრება.

— უცხოეთიდან შემოსული უხარისხო პროდუქცია, არასამართლიანი თამაშის წესების დამკვიდრება, ქართული ნატურალური პროდუქციის იგნორირება, - ეს ყველაფერი მამუკა ბახტაძის თვალსაწიერის მიღმა აღმოჩნდა. თუმცა გამოცანად რჩება, როგორ უნდა მოხერხდეს ჩვენი სოფელი მეურნეობის სექტორის ამოქაჩვა იმპორტირებული წამლეკავი პროდუქციის ფონზე?

— სოფლის მეურნეობის პროდუქტების 70% საქართველოში შემოდის საზღვარგარეთიდან, ძირითადად, თურქეთიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. წარმოიდგინეთ, რომ პოლონეთიდან შემოდის ვაშლი, ამ დროს კი საქართველო ცნობილი იყო, როგორც მეხილეობის ქვეყანა. მამუკა ბახტაძის ხედვას სოფლის მეურნეობასთან მიმართებით მივესალმები. თუმცა ახალმა პრემიერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პროდუქცია შემოდის დემპინგური ფასებით. ამ დროს ჩვენი გლეხი აწარმოებს პროდუქციას და ვერ ყიდის. რა ხდება თუნდაც ატამთან მიმართებით? უამრავი ატამია, მაგრამ მისი რეალიზაცია ჭირს. წარმოიდგინეთ, ატმის მოყვანა რა უჯდება გლეხს, სულ ახლახან კი ფასდაკლება იყო სუპერმარკეტში და 90 თეთრი ღირდა ატამი, მაგრამ მაინც ვერ გაიყიდა, რადგან საზღვარგარეთიდან შემოდის უამრავი ხილი, ბოსტნეული, კარტოფილი, კიტრი და ყველაფერი. სწორია, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები არიან წვრილი ფერმერები. თითოეულ ფერმერს 1 ჰექტარიდან 5 ჰექტარამდე მიწა აქვს, მეტი მიწა არ გააჩნია. ხოლო მსხვილი ფერმერები, რომელთაც 100-200-ჰექტარიანი მიწები აქვთ, თითზე ჩამოსათვლელია. 500-1000-ჰექტარიანი მიწის ფართობები კი მხოლოდ ერთეულებს აქვთ. სწორედ ამით აიხსნება, რომ მოწეული პროდუქციით გლეხი იკმაყოფილებს მხოლოდ საკუთარ მოთხოვნებს და ეს პროდუქცია ბაზარზე ვერ გააქვს. თუ სოფლის მეურნეობაში 46%-ია დასაქმებული, აქედან მხოლოდ 10%-ს შეუძლია, გაიტანოს თავისი პროდუქცია გასაყიდად, ანუ დანარჩენი მხოლოდ საკუთარ თავს იკმაყოფილებს. ამიტომაცაა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი ჩვენს ეკონომიკაში 10%-ზე მეტი არ არის.

სოფლის მეურნეობის სექტორში უამრავი პრობლემაა. წარმოიდგინეთ, თურქეთიდან შემოტანილ სასუქს ჩვენი გლეხი ყიდულობს 50 ლარად და ორჯერ მეტი უჯდება კარტოფილისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება, ვიდრე თურქ ფერმერს. ამიტომ თურქ ფერმერს იაფად შემოაქვს პროდუქცია, მისი პროდუქცია ჩვენთან იყიდება. ვიძახოთ, თურქული პროდუქცია არ ვარგა და ჩვენი კარგიაო, ეს არ უშველის საქმეს. გაჭირვებული ადამიანი რომ მიდის ბაზარში და დაინახავს კარტოფილს, რომელიც უფრო იაფია, იმას ყიდულობს. გამყიდველი არც ეუბნება, რომ კარტოფილი თურქულია, პირიქით, არწმუნებს, ახალციხის, ადიგენის, ახალქალაქის კარტოფილიაო, ანუ საუბარია იმ ადგილებზე, სადაც ყველაზე კარგი კარტოფილი მოდის.

— რაიმე განმასხვავებელი ნიშნები თუ აქვს თურქულ და ახალციხის კარტოფილს?

— კარგი ექსპერტებიც ვერ განასხვავებენ, ჩვეულებრივ მოქალაქეებზე რა უნდა ვთქვათ.

— ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში არაერთი მიწა მოიხნა. როგორ ჩანს, უფასო ხვნა-თესვა გამოსავალი არ არის, თუ არ შეიქმნება ჩამბარებელი პუნქტები, საწარმოები. ამ დროს კი საწარმოების ნაწილი დახურულია.

— მართალი ბრძანდებით, რა თანხებიც გაიცა უფასო ხვნისთვის, ეს იყო წყალში გადაყრილი ფული. იმას მერე დათესვა, მოყვანა, მოვლა, სასუქის შეტანა, მექანიზაცია, აღება, დადება და რეალიზაცია უნდა. დღეს კი უმჯობესია, სოფლის მეურნეობისთვის საჭირო საწვავის ფასი სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს და გლეხს ნაკლებ თანხად მიჰყიდოს საწვავი, მაგრამ ეგაა უბედურება, საწვავი სოფლად დასაქმებულ ხალხს რომ მიჰყიდო, მერე ისარგებლებენ და წავა იქ კორუფცია. ჩვენ ხომ ყველა კარგი წამოწყება უნდა გავაფუჭოთ, თორემ საწვავის გაიაფება უშველის სოფლის მეურნეობას. გლეხმა იაფად უნდა იყიდოს საწვავი, სასუქი. სიმართლე ითქვას, ბოლო ხანებში ბევრი საწარმო ამუშავდა, სათბურები გაკეთდა, ხეხილის ბაღები გაშენდა, უეკლო მაყვალი, მოცვი, ჟოლო, მარწყვის მოყვანა განვითარდა. ზემოთ ჩამოთვლილი კენკრა ჩვენთან ამდენი რაოდენობით არასოდეს იწარმოებოდა და საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. ამ მხრივ უკეთესობაა, რომ საზღვარგარეთაც გადის ჩვენი ეს პროდუქტები.

— კიდევ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რომ ქალაქში გამოქცეული, უკვე მოვაჭრედ გადაქცეული გლეხები დაუბრუნდნენ სოფლებს?

— როგორ უნდა დაუბრუნდნენ, როცა ქართული სოფლები აღარ არსებობს? ხალხი ზაფხულში რომ მიდიოდა სოფლად, ახლა ზაფხულობითიც აღარ მიდიან. გატიალდა სოფლები, ქვეწარმავლებმა დაიკავეს ტერიტორიები, ადამიანი რომ ბრუნდება საკუთარ სახლში, ხანდახან დათვი ხვდება სახლში და მგელი. სოფელი რომ აღორძინდეს, მას უნდა ჰქონდეს გზა, შუქი, გაზი, გაფილტრული წყალი, ერთი საწარმო მაინც, კლუბი. თუ გაზი, შუქი, ამბულატორია არა აქვს, ისე ვინ წავა სოფელში? აგერ, რიკოთის უღელტეხილზე ხარჯავენ 2 მილიარდს, რომ 15 წუთით ადრე შავი ჯიპებით ქუთაისის პარლამენტში მივიდნენ. ეს 2 მილიარდი დოლარი დახარჯონ სოფლების კეთილმოწყობასა და ინფრასტრუქტურაზე, საქართველოს ამით ეშველება. განა არ შეიძლება, 3-4 წლის შემდეგ დაიწყონ რიკოთის უღელტეხილის გზის რეკონსტრუქცია? ეს უშველის ჩვენს სოფელს. 2 მილიარდი კი არა, კიდევ ახლა დაუმატეს 300 მილიონი ევრო რიკოთის გზის პროექტირებისთვის. ქალაქებს არა აქვთ წყალი, რუსთავს წყალი არა აქვს, ქუთაისს წყალი არა აქვს, საკურორტო ზონას-ბორჯომს მხოლოდ ახლა გაუყვანეს წყალი, წაღვერის კურორტს, ამ რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტს, წყალი არა აქვს. აღარაფერს ვამბობ დიდ და მაღალმთიან სოფლებზე.

— მაშინ რატომ ამბობენ, რომ საქართველოში დაუმუშავებელი მიწები არ უნდა არსებობდეს. თუ მე ვერ მივდივარ სოფელში, არც გზა არის, არც წყალი, დენი და გაზი, სახლიც არ მაქვს, როგორ დავამუშავებ მიწას? ვის დავუტოვო მოსავალი? ქურდებს?

— თბილისიდან სოფლად მიწა რომ დამუშავო, ეგ ზღაპარია. თბილისში ცხოვრობდე და სოფლად დროებით სამუშაოდ ჩახვიდე, მოგპარავენ მოსავალს კი არა, არაფერს დაგიტოვებენ. მთავარია, სოფელში ადამიანები დაბრუნდნენ, ახალგაზრდობა დავაინტერესოთ, არ წავიდნენ თურქეთში ჩაის საკრეფად და სხვა სეზონურ სამუშაოზე.

— თუკი სოფლის მეურნეობის წილი ჩვენს ეკონომიკაში 10%-იც არაა, საქართველო რომ გადარჩეს, 40-50%-მდე მაინც უნდა ავიდეს ეს წილი?

— ეს რომ გაკეთდეს და 10%-იანი წილი 40%-იანად იქცეს, უნდა მოხდეს მიწების კონსოლიდაცია. 1 ჰექტარის მქონე ფერმერი ვერაფერს მოიწევს. უნდა ჩამოყალიბდეს კოოპერატივები, გაერთიანებები უნდა მოხდეს, სოფლებში კარგ საწარმოებს რომ გავხსნით და დავასაქმებთ ხალხს, იყიდის მიწებს გლეხი და მიწებიც გაერთიანდება. წარმოიდგინეთ, დედოფლისწყაროში, რომელიც ხორბლის ბეღელი იყო, 46 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა 500 ნაკვეთად იყო დაყოფილი, ახლა ეს 46 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა დაყოფილია 26 ათას ნაკვეთად. ცხადია, ახლა იქ არც შრომის ნაყოფიერება იქნება, არც სასუქს გამოიყენებენ, მექანიზაციის გამოყენებაც ნულამდეა. მიწების კონსოლიდაციის გარეშე სოფლის მეურნეობას არაფერი ეშველება.

— მართალია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემისას დაწესებული მაღალი გადასახადები აბრკოლებს ამ სექტორის განვითარებას?

— ცხადია, მე რომ სახელმწიფოსგან მიწა იჯარით ავიღო, სახელმწიფო მახდევინებს ორი სახის გადასახადს — მიწის გადასახადსაც და საიჯარო ქირასაც, რაც დიდი თანხა გამოდის და რა პროდუქციასაც ვაწარმოებ, მისი გაყიდვით დანახარჯს ვერ ამოვიღებ. ეს დანაშაულია. ამ დროს კი მიწის მესაკუთრე იხდის მხოლოდ მიწის გადასახადს. ანუ კერძო მესაკუთრეს უპირატესობა აქვს, რადგან მარტო მიწის გადასახადს იხდის, განსხვავებით მოიჯარისგან.

— საიჯარო გადასახადის ოდენობა მაღალია?

— საიჯარო გადასახადის ოდენობის დადგენად რაიონები უგზავნიან მოთხოვნას სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს, ისინიც ადგენენ კატასტროფულ თანხებს. ეს უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს.

— ახალი პრემიერი ნატურალური რძისა და რძის პროდუქტების დღგ-სგან გათავისუფლებას აპირებს. ამით ამოისუნთქავს გლეხი და მეტ შემოსავალს მიიღებს?

— ეს ძალიან კარგია და მეცხოველეობის განვითარებას ხელს შეუწყობს, მაგრამ მარტო რძე კი არ უნდა გავათავისუფლოთ დღგ-სგან, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზეც გავრცელდეს იგივე. გლეხს მოჰყავს ყურძენი და ქარხნები იბარებენ 30 თეთრად, 70 თეთრად ჩაბარება ეს არის გლეხის ოცნება, მხოლოდ ახლა ავიდა 70 თეთრამდე ყურძნის ფასი, ამ დროს კი ერთ ლიტრ ღვინოს ქარხნები ყიდიან 20-25 ლარად, საზღვარგარეთ 40-50 ლარად გააქვთ. ამით საწყალი გლეხი იჩაგრება, ანუ მრეწველობა ჩაგრავს გლეხს.

— ჩვენ ვიცით, რომ ქართველი გლეხი ან დედაქალაქში ვაჭრობს, ან უცხოეთშია გაქცეული. ამდენად, მამუკა ბახტაძის სურვილი ცოტა იდეალისტური ხომ არ არის, რადგან ვინ დაბრუნდება სოფლად საკუთარი მიწის ყივილის გამო?

— რამდენიმე ადამიანი დაბრუნდა სოფლად, მათ ხშირად აჩვენებენ ტელევიზიითაც, მაგრამ ამას სჭირდება დაინტერესება, შეღავათის მიცემა, 10-წლიანი უპროცენტო კრედიტის გაცემა. კაცი ორი წელია, იხვეწება, რაჭაში მომეცით მიწა იჯარით, რომ მოვიყვანო უეკლო მაყვალიო, მაგრამ რაჭის გუბერნატორმა მიწა არ მისცა, ვერ მოუნახეს მიწა. რაღაც მიზეზები მოიგონეს, კაცი გაბრაზდა და დაანება თავი. ის გუბერნატორი კი მოხსნეს, მაგრამ ამ კაცს მაინც არაფერი ეშველა.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

საქართველოსა და რუმინეთის შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა იწყება

ცენტრალური **და აღმოსავლეთ ევროპის დაბალბიუჯეტიანმა უნგრულმა ავიაკომპანიამ** Wizz Air-ი **რუმინეთიდან საქართველოს მიმართულებით გუშინ პირველი რეგულარული რეისი შეასრულა.**

პირველი რეისი ბუქარესტის საერთაშორისო აეროპორტიდან ქუთაისის მიმართულებით 16:30 წუთზე დაეშვა. ბუქარესტი-ქუთაისის მიმართულებით ფრენები კვირაში სამჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს განხორციელდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორის ქეთევან ალექსიძის განცხადებით, რუმინეთი რიგით მე-14 ქვეყანაა და მე-20 მიმართულება, რომელსაც ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან ავიაკომპანია Wizz Air შეასრულებს.



ტკბილი ოცნება საზარელ რეალობად არ გვექცეს!



ფიქრები ვაშინგტონური შეკრების შემდეგ

მუდმივი დაძაბულობა, საქართველოს მოსახლეობის გავარვარებულ დენთის კასრზე ჯდომა და მუდმივად აფეთქება-გადაბუგვის მოლოდინში ცხოვრება ჰქვია ამას! ეს კი ცხოვრება არ არის!

რუსეთის თემა საქართველოსთვის, ისე, როგორც დანარჩენი მსოფლიოსთვის აქტუალურია, თუმცა დანარჩენი, განსხვავებით ჩვენგან, დიდი ხანია, შეეგუა ამ სუპერსახელმწიფოს არსებობას, ჩვენ კი ისევ ძველ „პლასტინკას“ ვატრიალებთ და ვერაფრით მიმხვდარვართ, რომ ხშირი ხმარებით ხმაც ჩახრინწულია და მოსასმენადაც ნაკლებსასიამოვნო. სხვათა ყურის გამაღიზიანებელია ბრალდებები, რომლებსაც პატარა საქართველო უყენებს რუსეთს, თუმცა მათი უმრავლესობა ობიექტურია.

თუ ვინმეს ყურს, განსაკუთრებით გონებას ახალისებს საქართველოს ხელისუფალთა „მკაცრი“ განცხადებები ეს უკრაინა, ბალტიისპირა ქვეყნები, პოლონეთი და მოლდოვაა. სწორედ ამ ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული ვაშინგტონში პარლამენტის სპიკერთა სახით და ისეთი ანტირუსული კოცონი დაანთეს, არა მარტო რუსეთის, არამედ სხვათა ყურადღება რომ მიიპყრეს.

„სხვათა“ ყურადღება მოკლევადიანია ხოლმე, მაგრამ რაც შეეხება რუსეთს, ის ამას იმახსოვრებს და ისეთ დროს დაგვიდებს წინ, ვერც კი მოვახერხებთ თვალის დახამხამებას.

პარლამენტის სპიკერთა ვაშინგტონის თავყრილობას ლიდერიც ჰყავდა რუსეთისგან ყველაზე დაჩაგრული, ტერიტორიებწართმეული უკრაინის სახით.

უკრაინის დელეგაციას პარლამენტის სპიკერი პორუბი ხელმძღვანელობდა – 2014 წლის მაიდნის სახელმწიფო გადატრიალების აქტიური მონაწილე და ხელისშემწყობი. პირი, რომელიც დასავლელი ჟურნალისტების მიერ ვიდეოკადრებზეა „გამობრწყინებული“, როგორც ქართველი და უცხოელი სნაიპერების კიევში ჩაყვანის ორგანიზატორი, სამხედრო ოპერაციის ანუ სროლის სულისშთამბერავი, სნაიპერებისთვის სპეცშაშხანების მიმწოდებელი.

მკითხველს შევახსენებ, რომ დოკუმენტური ვიდეოფილმის მიხედვით, სადაც „გმირები“ ქართველი სნაიპერებია, მთავარი ორგანიზატორი მაიდანზე დატრიალებული ხოცვა-ჟლეტისა, უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად, პორუბის სახით, ჩვენი ყოფილი „სანაქებო“ პრეზიდენტი სააკაშვილიცაა, იმ „ღონისძიებაში“ ლიტველი სნაიპერებიც იღებდნენ მონაწილეობას.

როდესაც პორუბის და მისთანებს მასპინძლობს „დემოკრატიის აკვანი“, როგორც თვით აშშ-ის პოლიტიკოსები უწოდებენ საკუთარ თავს, უმალ გებადება კითხვა – ეს დემოკრატიაა, თუ ნამდვილი დიქტატურა?

უკრაინელი პორუბი ისეთი თავგამოდებით აცნობდა ამერიკელ პოლიტიკოსებს რუსეთის აგრესიისა და ანექსიის, აგრეთვე ყოველდღიური ანტიჰუმანური აქტების შესახებ, თითქოს უმანკო კრავი ყოფილიყო, როგორც თვით, ისე დღევანდელი უკრაინული ხელისუფლება, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა კორუმპირებული უწოდა.

პორუბის „წარმატებულ“ სოლო გამოსვლას წერტილი მაშინ დაესვა, როდესაც დარბაზში მყოფმა ამერიკელმა ისეთი შეკითხვა დაუსვა, რომ პასუხის ნაცვლად პორუბიმ გაჩუმება „ამჯობინა“, რითაც ამერიკელის შეკითხვას უდავოდ ჭეშმარიტების სული შთაბერა.

რუსეთის გინებით ყველა მიწვეულმა პარლამენტის თავმჯდომარემ გამოიჩინა თავი, მათ შორის ირაკლი კობახიძემაც.

ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ ბალტიისპირეთიდან ლიტვის გარდა, შეკრებას ლატვია და ესტონეთი არ ესწრებოდნენ. რით იყო გამოწვეული ჩვენი დასწრება და იმათი არდასწრება, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, დავუმტკიცოთ ამერიკელებს მოჭარბებული ლოიალურობა და მორჩილება, მით უმეტეს მაშინ, როდესაც აშშ-ის ორი პარტიის – „რესპუბლიკელების“ და, „დემოკრატების“ რეზოლუციის პროექტია შესული კონგრესში განსახილველად და თუ ყველა საფეხურს წარმატებით გაივლის და პრეზიდენტიც ხელს მოაწერს, საქართველოს ისეთი ამერიკული კანონი „დაიცავს“, აქამდე რომ არ ყოფილა.

უნებლიედ იბადება კითხვა – დავუშვათ, ყველა ინსტანცია დადებითად გაიარა კანონპროექტმა და პრეზიდენტმაც ხელი მოაწერა, რა მოჰყვება მას?

ძნელია გათვლა იმისა, რა დადებით შედეგებს მოუტანს რეზოლუცია საქართველოს, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ ის ვერ გაამთლიანებს საქართველოს ტერიტორიას და ვერც რუსეთს დააჩოქებს ისე, რომ დასავლეთს დაუწყოს ხვეწნა – საქართველოს ტერიტორიებსაც დავაბრუნებ, სულ მუდამ სიყვარულით თავზე ხელს გადავუსვამ „ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას“, ოღონდ ეს რეზოლუცია გააუქმეთო.

ასე, რომ ხელისუფლებამ გადადგა ფულის შოვნის კიდევ ერთი ნაბიჯი, ისეთი, რასაც აქ არსებული, ამერიკელთა მიერ შექმნილი არასამთავრობოები აკეთებენ ანტირუსული პროპაგანდის წარმოებით. ანალოგიურად მოქმედებენ უკრაინელები, მოლდოველები, პოლონელები, ლიტველები, ესტონელები და ლატვიელები, თუმცა როგორც ვთქვი, ეს ორი შეკრებას არ ესწრებოდა.

შეკრებილთაგან, მოლდოვას მდგომარეობა ისეთია, ავ თვალს რომ არ ენახვება. იქაც, როგორც აქ, ძალაუფლება მილიარდერი პლოხოტნიუკის ხელშია და ისე ატრიალებს მოლდოვას პოლიტიკურ ცხოვრებას, როგორც კუბიკ-რუბიკს. წინ საპარლამენტო არჩევნებია და იმ ძალების გამარჯვების შემთხვევაში, რომლებსაც თვალი აღმოსავლეთისკენ უჭირავთ, ყველაფერი თავდაყირა დადგება. „იმ ძალებს“ კი მოსახლეობის ნახევარზე მეტი უჭერს მხარს.

რაც შეეხება პოლონეთს – ევროკავშირისთვის ერთობ მიუღებელს, იმ მთავრობის გამოისობით, რომელიც ქეყნის სათავეშია, ისტორიული მტრობა აქვს რუსეთთან და პატარა შანსსაც არ უშვებს ხელიდან ამ ქვეყნის ჩასაწიხლად.

უდავოდ „შესაშური“ ნაკრებია ანტირუსული კამპანიისთვის და ჩვენც არ დავაყოვნეთ, იქ ამოვყავით თავი, ჯობდა, არ ამოგვეყო. სხვათა შორის ამერიკელთათვის გულწრფელობის გამოსახატავად სხვა გზებიც უხვად არის, თუმცა საქართველოს ხელისუფალთ აღნიშნული ქვეყნების ხელისუფლებები მეგობრებად მიაჩნია.

ჩამოთვლილ ქვეყნებთან განხორციელებული ყოველდღიური კავშირურთიერთობები ამის დასტურია. რატომღაც, მათთან მჭიდრო კავშირები მიიჩნევა ევროპული კურსის შეუქცევადობად. არადა, თუ გავიხსენებთ პრეზიდენტ ტრამპის წინასაარჩევნო განცხადებებს, ნათელი მომავალი ნაკლებად გარანტირებულია.

ქართველ პოლიტიკოსებს, ვინც ქვეყნის სათავეშია, ერთი სული აქვთ არა მარტო ნატოში და ევროკავშირში შესვლისა, არამედ აშშ-ის სამხედრო ბაზის გახსნისაც! სულ ახლახან „რესპუბლიკური პარტიის“ მთავარმა სახემ დავით ბერძენიშვილმა ეთერში განაცხადა, რომ ყოველთვის მიესალმებოდა აშშ-ის „ძალიან დიდი“ სამხედრო ბაზის გახსნას საქართველოში.

დავითის განცხადება „მისასალმებელია“ მხოლოდ ერთი თვალსაზრისით – ის ამბობს იმას, რაც გულში აქვს, სხვებისგან განსხვავებით, რომლებიც ამას ხმამაღლა არ ამბობენ, მაგრამ ოცნებობენ.

დავუშვათ, ბერძენიშვილს აუხდა საწადელი, რა ქვეყანა გვექნება? – 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრზე ორი ქვეყნის სამხედრო ბაზებით ურთიერთდაპირისპირებული ბრძოლის ლელო! აი, საით გვიბიძგებს „პატრიოტი“ დავითი.

მუდმივი დაძაბულობა, საქართველოს მოსახლეობის გავარვარებულ დენთის კასრზე ჯდომა და მუდმივად აფეთქება-გადაბუგვის მოლოდინში ცხოვრება ჰქვია ამას!

ეს კი ცხოვრება არ არის!

ბერძენიშვილი ამ სურვილს რუსეთის სიძულვილით ხსნის, თან იმის იმედით, რომ ბაზის გახსნის შემდეგ ამერიკელები გაცილებით სერიოზულად იღვაწებენ ყოფილი ავტონომიების ჩვენთვის დასაბრუნებლად. გარდა ამისა საქართველო გახდება აშშ-ის მყარი პლაცდარმი ამიერკავკასიაში. ჩვენ ვიქნებით აშშ-ის შვილობილი ქვეყანა. ის გვაჭმევს, გვასმევს, თავზე შემოგვევლება, ცივ ნიავსაც არ მოგვაკარებს.

ნეტავ რა დამსახურებისთვის?

სამხედრო ბაზებისთვის ტერიტორიების გასხვისების მსურველი ქართველი პოლიტიკოსების გასაგონად ვამბობ: აშშ-ის სამხედრო კონტიგენტის რაოდენობა, რომელიც ევროპაშია, დღითი დღე მცირდება, ვინაიდან ამერიკაც კი ვერ აუდის ხარჯებს და ამ დროს საქართველოში გახსნილი სამხედრო ბაზა. მიიღებს თუ არა აშშ დავით ბერძენიშვილის წინადადებას – მომავალი გვიჩვენებს...

16 ივლისამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებია დარჩენილი. სწორედ ამ დღეს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაიმართება აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან. ამ შეხვედრას მსოფლიოს საზოგადოება ინტერესით ელის, ვინაიდან ორი გიგანტის მოლაპარაკების შედეგზეა დამოკიდებული მსოფლიოს განვითარების ბედი.

დაველოდოთ მოვლენებს და შემდეგ გავაკეთოთ დასკვნები. ერთი რამ კი ცხადია, საქართველო ამ მოლაპარაკებიდან ვერც ვერაფერს მიიღებს, ვინაიდან პაწია საქართველოზე საერთოდ არ იქნება ლაპარაკი. ასე რომ, ანტირუსული პროპაგანდა გავაგრძელოთ, თუნდაც რუსეთის დაქცევის დონემდე, ისე, როგორც ამას გვიქადაგებს ამერიკელი მკვლევარი ჯორჯ ფრიდმანი:

„რუსეთი ძალების კარგვას განაგრძობს. სსრკ-ის დაშლა მისთვის არა დასასრული, არამედ დასაწყისი იყო, ახალი ეტაპისა, თუმცა ახლა იგი გვიანი სსრკ-ის ყველა შეცდომას იმეორებს და რჩება დიდ, მაგრამ არაეფექტურ ქვეყნად“.

ფრიდმანის მოსაზრება მალამოსავით მოედო ქართველ პოლიტიკოსთა გულებს, რომლებიც აღტაცებას ვერ მალავენ რუსეთის ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით. დაიშლება რუსეთი და საქართველო ავტომატურად დაიბრუნებს დაკარგულს. შესაძლოა, მას კიდევ რაღაცა წაუმატოს!..

ფრიდმანისა და მის მსგავსთა წინასწარმეტყველება ან ახდება, ან არა, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში მას ახდენა არ უწერია. მანამდე რა ვქნათ? მივაღწევთ კი რუსეთის დაშლის დღემდე? და თუ მივაწევთ, უზარმაზარი ქვეყნის დაშლა ჩვენზე კარგად იმოქმედებს?

ვინ იცის – ტკბილი ოცნება, საზარელ რეალობად არ გვექცეს!

საბჭოთა კავშირის ნებაყოფლობითი დაშლა ნაკლები სისხლით და შფოთით რომ წარიმართა, გასაკვირი არაფერია, ვინაიდან ამ საქმის ინიციატორი მოსკოვი იყო, მაგრამ რუსეთის დაშლაში რომ „თავი“ საწინააღმდეგო პოზიციას დაიკავებს!

ნაცვლად ვირტუალური ოცნებისა, უმჯობესია სინამდვილის გაზიარება და ისეთი გზის გამონახვა, აბსტრაქციისგან, ნიშნის მოგებისგან შორს იყოს!

მხოლოდ რეალობის გათვალისწინება, შეცდომების აღიარება და გაანალიზება იქნება გზა გადარჩენისა და ნაბიჯ-ნაბიჯ გაძლიერებისა.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

შეხვედრა ჩატაევთან სირიაში სუს-ის დავალებით შედგა!

„რამაზ მარგოშვილი ჩატაევს სირიაში სუს-ის დავალებით შეხვდა“, – ამის შესახებ განცხადებას მარგოშვილის ადვოკატი ინგა ბოლოთაური „ნიუპოსტთან“ აკეთებს.

უფლებადამცველი ამბობს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა დუმილის დარღვევა გადაწყვიტა და 6 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში დაგეგმილ პროცესზე იტყვის, ვისი დავალებით შეხვდა სირიაში, 2016 წლის იანვარში აჰმედ ჩატაევს. „ეს არის რამაზ მარგოშვილის გადაწყვეტილება, იგი ისაუბრებს, როგორ გააგზავნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩიმაკაძემ და ამავე სამსახურის თანამშრომელმა ხვიჩა ლორიამ. იტყვის, რა დავალება ჰქონდა და შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები“, – აღნიშნა ადვოკატმა.

◎ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲕᲘᲛᲙᲘᲗ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲕᲗᲘᲔᲡᲔᲗ!

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ გვაქვს განათლებასა და მეცნიერებაში არასწორი ორგანიზაციისა და ფინანსების უკმარისობის გამო. უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობლად შესუსტდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგებში, მოიშალა ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲐᲚᲖᲐᲠᲓᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘ, მაშინ როცა, ბოლონიის დიდ ქარტიაში (1988), რომლის პრინციპები ჩვენც ვაღიარეთ, პირდაპირაა მითითებული, რომ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘᲐ.

საბედნიეროდ, ქართული გენი ახლის ძიების, შემოქმედებითი ფუნქციის მატარებელია და სწორედ ამან განაპირობა საქართველოში მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო სკოლების ფორმირება და აღიარება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ჩვენ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ სანამ ჯერ კიდევ არსებობენ საერთაშორისო მნიშვნელობის ასეთი სამეცნიერო სკოლების წარმომადგენლები, გამოვიყენოთ მათი სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალი ახალგაზრდა კადრების მომზადების მიზნით, რომ არ მოხდეს თაობათა შორის წყვეტა მეცნიერებაში, შევაჩეროთ ნიჭიერი ახალგაზრდა **ტვინების უცხოეთში გადინება** და ფუნდამენტური სამეცნიერო დარგებიდან **ტვინების განრიდება**. ისინი ჩვენი შვილები არიან, საქართველოს მომავალი.

ალბათ ამაში ფინანსებითა და სახელობითი სტიპენდიებით ბიზნესმენები უნდა დაგვეხმარონ, ინტენსიურად უნდა მოვიძიოთ უცხოური გრანტები საზღვარგარეთ ახალგაზრდა სპეციალისტების სტაჟირების მიზნით. უნდა გვახსოვდეს, რომ **მეცნიერება საწარმოო ძალაა** და ყველა ახალი წარმატებული ტექნოლოგია სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერის საფუძველია. მისასალმებელია, რომ სქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა მამუკა ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲛ განათლება რამდენჯერმე აღიარა პრიორიტეტულ მიმართულებად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად დაახლოებით 40000 სტუდენტი ამთავრებს უნივერსიტეტებს, აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ მათი დიდი ნაწილის დასაქმება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება, რაც გაზრდის ახალგაზრდების უმუშევართა არმიას.

დასანანია, რომ ასეთი მდგომარეობა განპირობებულია მისაღები გამოცდების პროგრამების დაბალი დონით, შედეგად თითქმის კარგად თუ სუსტად მომზადებული ყველა აბიტურიენტი ადვილად ძლევს საგამოცდო პროგრამებს და ადვილად ხდება უნივერსიტეტებში მათი ჩარიცხვა, მით უმეტეს რომ მათ რამდენიმე უნივერსიეტის არჩევის საშუალებაც ეძლევათ. სამწუხაროდ, არასრულფასოვნად მომზადებულ პირველკურსელ სტუდენტებთან ზუსტ და საბუნებისმეტყველო დარგების პირველ კურსელებთან სწავლების დაწყებისას, დიდი პრობლემა ექმნებათ უნივერსიტეტების პროფესორებს, ვინაიდან პირველკურსელებთან სწავლებას იწყებენ არა საუნივერსიტეტო პროგრამით გათვალისწინებული დარგების შესწავლით, არამედ ცდილობენ, სასკოლო პროგრამის მინიმუმი მაინც შეასწავლონ ძირითადი საუნივერსიტეტო დარგების დასაძლევად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ შუალედურ გამოცდებზე, საგამოცდო კითხვებზე ბევრი სტუდენტი პასუხის წერასაც ვერ ახერხებს ქართულად, აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ წერის დროს ქართულ ანბანსაც ვერ არჩევენ. სამწუხაროდ, ასეთია აბიტურიენტების გარკვეული ნაწილის სასკოლო მომზადების დონე. როგორც ჩანს, ამ საქმეში დიდი ბრალი მიუძღვით მშობლებს. ჩანს, რომ ბევრი მათგანის ცნობიერება ვერ გასცდა კომუნისტების დროის შეხედულებებს, რომ მისმა შვილებმა აუცილებლად უნდა დაამთავრონ უმაღლესი! სამწუხაროდ, არ ითვალისწინებენ, რომ მიღებული არასრულფასოვანი ცოდნით მათი შვილები უმუშევრობისთვის არიან განწირულნი. ამასთან, არა მგონია, საქართველომ შესძლოს 40000 უნივერსიტეტდამთავრებული ახალგაზრდა დააკმაყოფილოს პროფესიული სამუშაო ადგილებით. ისიც საგულისხმოა, რომ თუ საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხული თითქმის ყველა სტუდენტი, პრაქტიკულად, ამთავრებს უმაღლეს საწავლებელს, თუ ფინანსების პრობლემის გამო არ შეუჩერდათ სწავლება, მაშინ როცა აშშ-ის უნივერსიტეტების კოლეჯებში კურსდამთავრებულთა რიცხვი 1970-იანი წლების მონაცემებით 14-16%-ს არ აღემატებოდა. მე ვფიქრობ, რომ თუ გაძლიერდება მოთხოვნები მისაღები გამოცდების პროგრამებზე და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულთა რიცხვი დაახლოებით 30-35%-დე შემცირდება, შედეგად, ამაღლდება მოთხოვნები სკოლებში სწავლების დონის მიმართ და რეალურად დაიწყება საშუალო სკოლებში ინტენსიური სწავლება თუნდაც პრესტიჟის აღსადგენად. დარჩენილი აბიტურიენტები აუცილებლად მიმართავენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროფესიულ სასწავლებლებს სწავლის გაგრძელებლად, პროფესიული სასწავლებლების წარმატებული დამთავრების შემდეგ, დაკმაყოფილდება ბიზნესმენების მოთხოვნებიც დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სამუშაოზე ასაყვანად და გაიზრდება ახალგაზრდების დასქმებაც!

მინდა, ვურჩიო ახალგაზრდებს, რომ კარგად შეაფასონ ფუნდამენტურ დარგებში მათი მოღვაწეობის შესაძლებლობები და საქართველოში მოთხოვნად პროფესიულ დარგებში მოღვაწეობის შესაძლებლობები, რომ მომავალში თქვენ, მთავრობის მიერ შემოთავაზებული გრანტების და სტარტაპების დახმარებით შესძლოთ პირადი მცირე ბიზნესის განვითარება სოფლის მეურნეობასა თუ ინოვაციურ დარგებში. ალბათ, მისაბაძია მრავალი ახალგაზრდა გოგონასა და ვაჟის წარმატებული კერძო, მცირე ბიზნესის შექმნა და დიდი მატერიალური წარმატებები. ასე დაიწყეს ამერიკაში ახალგაზრდებმა მცირე ბიზნესი და... შედეგად მილიარდი ბიუჯეტის მქონე ბიზნეს-ცენტრები შექმნეს!

დღეს განათლების სიტემაში დგას კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა — საუნივერსიტეტო ლექციებზე სტუდენტების დასწრების საკითხი. როგორც ჩანს, მშობლების დაუსაქმებლობის გამო, შედარებით მარტივ სამუშაოებზე ადვილად ეწყობიან სტუდენტები, რის გამოც, სამწუხაროდ, მათ არ რჩებათ დრო ლექციებზე დასასწრებად. იქნებ ვიფიქროთ იმაზეც, რომ უნივერსიტეტებში აღვადგინოთ საღამოს დასწრებული და დაუსწრებელი სწავლება, ძველი, კარგად აპრობირებული გამოცდილების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს სტუდენტთა უნივერსიტეტებში ლექციებზე დასწრების საშუალებას და ნორმალურ პირობებში სწავლის შესაძლებლობას.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ᲢᲧᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა ეროვნული ტყის ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

საველე პირობებში გამართული შეხვედრის მიზანი ტყის ეროვნული აღრიცხვისთვის საჭირო ხელსაწყოების დემონსტრირება იყო.

როგორც ლევან დავითაშვილმა განაცხადა, საქართველოში სატყეო რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო, რომლის მიზანიც ტყის ეროვნული ინვენტარიზაციაა და აღნიშნულ პროცესში საბუნებისმეტყველო დარგის სტუდენტების ჩართულობაზე გაამახვილა ყურადღება.

აღსანიშნავია, რომ ტყის ეროვნული აღრიცხვა მოიცავს ქვეყანაში არსებულ ყველა ტყეს, მმართველი ორგანოსა და დაცვის სტატუსის მიუხედავად. ტყის ეროვნული აღრიცხვის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება როგორც ტყის ეკონომიკური მახასიათებლების, განვითარებისა და დეგრადაციის სტატუსის, ბიომრავალფეროვნების, ასევე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ.

საქართველოში ტყის პირველი ეროვნული აღრიცხვის პროცესი ხორციელდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხარდაჭერით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) პროგრამის „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში.

კოჯრის ტყეში გამართულ სადემონსტრაციო შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი დანიელ ჰაასი, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დირექტორი თამარ ალადაშვილი და სატყეო სექტორით დაინტერესებული სტუდენტები ესწრებოდნენ.

2 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ 160-ᲛᲓᲔ ᲒᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲓᲐ

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ ტურიზმის განვითარების სკოლის ფარგლებში გიდების გადამზადება დასრულდა. წელს, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ბათუმის, ქედისა და მაჭახელას ტურისტულ მარშრუტებზე 60-მდე მოქმედ და დამწყებ გიდს ჩაუტარა ტრენინგები.

თეორიულ-პრაქტიკული კურსის განმავლობაში გიდებმა გაიარეს ყველა ტურისტული მარშრუტი და ინფორმაცია მიიღეს იქ არსებული ტურისტული ღირსშესანიშნაობების, პროდუქტებისა და სერვისების შესახებ. პრაქტიკული საველე გასვლების გარდა, მათ ასევე ჩაუტარდათ თეორიული სწავლება ეთნოგრაფიის, ისტორიის, ექსკურსიათმცოდნეობის, ქართული ფოლკლორის, გიდის ფსიქოლოგიის, პირველადი დახმარებისა და არქიტექტურის შესახებ.

ბათუმის, ქედისა და მაჭახელას ტურები ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი მარშრუტებია აჭარაში. ბათუმის ტურისტული მარშრუტი ქალაქში არსებულ ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, ძმების ნომებელების, მხარეთმცოდნეობის, არქეოლოგიურ მუზეუმებს, ბოტანიკურ ბაღსა და გონიოს ციხეს მოიცავს. ქედის ღვინის მარშრუტი სოფელ ვაიოს, პირველი მაისის, დანდალოსა და გეგელიძეების ღვინის მარნებს, საოჯახო-სასტუმრო სახლებსა და აჭარულ ღვინის სახლს ითვალისწინებს. მაჭახელას ტურისტულ მარშრუტში კი მაჭახელას ეროვნულ პარკი და მაჭახელას თოფის გზა შედის.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი ტურიზმის განვითარების სკოლის ფარგლებში გიდებისთვის ტრენინგებს 2019 წელსაც გააგრძელებს.



ზურგში ჩაცემული დანა

უნგრეთი ნატოსა და ევროკავშირში უკრაინის და საქართველოს წინააღმდეგ გამოდის

უკრაინულმა გამოცემამ „ევროპეისკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა კრიტიკული სტატია, რომელიც უნგრეთის წინააღმდეგაა მიმართული: პუბლიკაციის ავტორი, გამოცემის მთავარი რედაქტორი სერგეი სიდორენკო ამხელს მეზობელი ქვეყნის ანტიუკრაინულ პოლიტიკას — თუ როგორ უშლიან ხელს უნგრეთის ხელისუფლების წარმომადგენლები უკრაინისა და საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს სტატიის მოკლე შინაარსს:

უნგრეთ-უკრაინის ურთიერთობა ბოლო დროს მაინცდამაინც დიდი მეგობრობითა და ურთიერთპატივისცემით არ გამოირჩევა. საქმე იმაშია, რომ უნგრეთი უკრაინას ბრალს სდებს განათლების ისეთი კანონის მიღებაში, რომელიც ეროვნული უმცირესობების, კერძოდ, დასავლეთ უკრაინაში, კარპატებში მცხოვრები უნგრელების უფლებებს არღვევს. თავის მხრივ, უკრაინა აცხადებს, რომ კანონი დემოკრატიულია და სრულად პასუხობს „ვენეციის კომისიის“ მოთხოვნებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ნატოს მოახლოებულ სამიტზე დაგეგმილია უკრაინის შესახებ გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება (უნგრეთს კი ნატოში ვეტოს უფლება აქვს), აუცილებელი იყო ბუდაპეშტ-კიევის სადავო საკითხის მოგვარება. ამ მიზნით 22 ივნისს უჟგოროდში უკრაინისა და უნგრეთის დელეგაციების შეხვედრა გაიმართა, რომლის დროსაც იმსჯელეს პრობლემის მოგვარების გზებზე. შეხვედრის დასრულების შემდეგ „ევროპეისკაია პრავდამ“ ინტერვიუ ჩამოართვა უნგრეთის დელეგაციის ხელმძღვანელს, საგარეო საქმეთა მინისტრს პეტერ სიარტოს. მინისტრმა აღნიშნა, რომ უნგრეთი ისეთი კატეგორიული აღარ არის უკრაინული კანონის მიმართ და, შესაბამისად, არ გამორიცხა, რომ ბუდაპეშტი მხარს დაუჭერს ნატოს სამიტზე უკრაინის ახალი სტატუსის აღიარებას.

„ორიოდე დღის წინათ კი ნატოს გენმდივანმა იენს სტოლტენბერგმა უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პეტერ სიარტოსგან უცნაური წერილი მიიღო. მასში მინისტრს თითქოსდა მთლიანად დაავიწყდა, რაც ინტერვიუში ილაპარაკა კარპატებში, უჟგოროდში გამართული შეხვედრის შესახებ — კომპრომისზე, დიალოგის აუცილებლობაზე და ა.შ. ამის ნაცვლად, უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ოფიციალურად ატყობინებს ალიანსს: უჟგოროდის შეხვერდაზე არავითარი გადაწყვეტილება არ მიღებულა, აქედან გამომდინარე, უნგრეთის **პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს, რომელიც ბრიუსელში დაგეგმილ ნატოს სამიტს დაესწრება, განზრახული აქვს, დაბლოკოს და ხმა არ მისცეს არცერთ დოკუმენტს, რომლებიც სამიტის წინაშე იქნება წარდგენილი, უკრაინისა და საქართველოს ლიდერებთან შეხვედრის შედეგების გათვალისწინებით“,** — ნათქვამია სტატიაში.

გარდა ამისა, ავტორი იხსენებს ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც: 26 ივნისს ევროკავშირმა უკრაინას ერთი მილიარდი ევრო გამოუყო მაკროფინანსური დახმარების სახით, რომელსაც უნგრეთმა ხმა არ მისცა. კიდევ კარგი, რომ ევროკავშირში ნატოს პრინციპი არ მოქმედებს და გადაწყვეტილება ხმების უმრავლესობით მაინც მიიღეს.

რისთვის ჭირდება ეს ყველაფერი უნგრეთს?

ავტორის აზრით, შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი თავისი წინააღმდეგობრივი საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯებით აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ყურადღების მიქცევას ცდილობს. და რადგანაც უნგრეთის ლიდერი ხედავს ამერიკის პრეზიდენტის საკმაოდ არაორდინალურ საგარეო-პოლიტიკურ მიდგომებს, დონალდ ტრამპის შეხედულებებს, მასთან შეხვედრა და საუბარი სურს...

„EUROINTEGRATION“ (უკრაინა)

კამერების დამონტაჟება ოკუპანტებს ფსიქოლოგიურად მაინც „შეაშინებს“

საოკუპაციო ხაზთან მობილური ჯგუფების რაოდენობის გაზრდა იგეგმება. შს მინისტრობის კანდიდატი **გიორგი გახარია** აცხადებს, რომ მის უწყებას საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებით გეგმები აქვს, მაგრამ აქ ძირითადი კომპონენტია ტექნოლოგიური ნაწილის განვითარება სხვადასხვა ფორმით. ეს უნდა იყოს კამერებისა და მობილური ჯგუფების რაოდენობის გაზრდა.

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ამ იდეის შესახებ მედიასაშუალებებში არაერთხელ უსაუბრია. კამერებისა და მობილური ჯგუფების რაოდენობის გაზრდა აუცილებლად უნდა მომხდარიყო, რადგან ამით დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენელთა პასუხისმგებლობის არეალი უნდა გამოკვეთილიყო.

„როგორც ჩანს, დაუჯერეს ქართულ საექსპერტო საზოგადოებას და სულ არარაობას, ამ ინიციატივის განხორციელება ბევრად უკეთესია. ოკუპანტებს ამ კამერების დამონტაჟება, ასე თუ ისე, ფსიქოლოგიურად მაინც შეაფერხებს. სხვათა შორის, ბატონი გიორგი გახარია ეფექტური მენეჯერი აღმოჩნდა ისევე, როგორც ბატონი კახა კახიშვილი. ვფიქრობ, ამიერიდან საოკუპაციო ხაზთან ამდენ ქართველს მაინც აღარ გაიტაცებენ“, — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

ამავე პოზიციას იზიარებს უფლებადამცველი **გელა ნიკოლაიშვილი**. For.ge-სთან საუბარში ადვოკატი აცხადებს, რომ, თუკი საოკუპაციო ხაზთან გვეყოლება მობილური ჯგუფი და, მით უმეტეს, ვიდეოკამერებით დააფიქსირებენ სიტუაციას, მაშინ ქართველებს გაცილებით მეტი მტკიცებულება გვექნება ჩვენი პოზიციების დასაცავად.

„ჯერ ისედაც იქ ხელოვნური საზღვარია. ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლები ყოველთვის უარყოფდნენ ხოლმე გატაცების ფაქტს და ამბობდნენ, ქართველები უკანონოდ გადმოდიან და საზღვარი დაარღვიეს. ჩვენები კი ძირითადად ამბობდნენ, რომ თუნდაც ეს არაკანონიერი საზღვარი არ დაურღვევიათ. ამიერიდან კამერები გვეტყვიან სიმართლეს, რასაც ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებიც ნახავენ და შეხვედრებზე უკვე ცხვირწინ აუფარებენ ამ ფაქტებს საოკუპაციო რეჟიმს. თუკი სადავო ნაკლები იქნება, მაშინ, ალბათ, შემცირდება კიდეც ქართველების გატაცების ფაქტები“, — მიიჩნევს გელა ნიკოლაიშვილი.

„ევროპული საქართველოს“ წევრი **დავით დარჩიაშვილი** აცხადებს, რომ საოკუპაციო ზოლის კონტროლი დიდი ხნის წინათ უნდა მომხდარიყო. ეს კეთდებოდა კიდეც, სანამ ამ ზოლის კონტროლი არ შეასუსტა და არ მოარღვია ხელისუფლებამ. თუ ახლა დაუბრუნდებიან იმ მოდელს, რაც მანამდე იყო, ცუდი არ იქნება.

რაც შეეხება მოსაზრებას, რამდენად დააფრთხობთ კამერები იმ ადამიანებს, რომლებიც კრიმინალისა და პოლიტიკური ზრახვების გამო ქართველებს იტაცებენ?! ამის შესახებ დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლები ბევრად უფრო ფრთხილად იქცეოდნენ, როდესაც იქ განლაგებული იყო ჩვენი სპეციალური ქვედანაყოფები, რადგან იცოდნენ, რომ მათთან შეიძლება ჰქონოდათ საქმე. დღეს კი ეს აღარ ხდება, ჩვენი მოქალაქეები დაუცველნი არიან. ამდენად, კამერები მხოლოდ დამატებითი ტექნიკური საშუალებაა, რომლებიც სპეცდანაყოფებს უნდა ჰქონდეს. მთავარია, სპეცდანაყოფები იდგნენ საოკუპაციო ხაზთან, სადაც პერიოდულად იქმნება პრობლემები.

მანანა იმერლიშვილი

გერმანია საზღვრებზე კონტროლს აფართოებს

გერმანია უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში აფართოებს საზღვრებზე დამატებით კონტროლს, — განაცხადა ფრაქცია ქრისტიან დემოკრატიული და ქრისტიან სოციალური კავშირის ხელმძღვანელმა ბუნდესტაგში ფოლკერ კაუდერმა.

მანამდე, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა და ქრისტიან-სოციალური კავშირის წარმომადგენელმა ჰორსტ ზეეხოფერმა და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა მიაღწიეს კომპრომისულ გადაწყვეტილებას მიგრანტების საკითხში. კომპრომისი ითვალისწინებს, გერმანიაში შეიქმნას ტრანზიტული ცენტრი, სადაც მიგრანტებს იქნებათ საშუალება, გაჩერდნენ, ვიდრე მოხდება მათი ევროკავშირის სხვა ქვეყანაში დეპორტაცია, სადაც ისინი თავდაპირველად იყვნენ დარეგისტრირებულნი.

„ავსტრიასთან პარალელურად ჩვენ ასევე დაველაპარაკებით იტალიას და გავაფართოებთ დამატებით კონტროლს საზღვრებზე“, — განაცხადა კაუდერმა ბერლინში. კონტროლი მოიცავს დოკუმენტების და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების შემოწმებას.

ავსტრია მზად არის, ქვეყნის სამხრეთ საზღვარი მიგრანტებისგან დაიცვას

ავსტრიის მთავრობა მზად არის, მიიღოს ზომები, რათა დაიცვას ქვეყნის სამხრეთ საზღვარი მიგრანტებისგან, გერმანიასთან შეთანხმების მიღწევის შემდეგ. ნათქვამია ავსტრიის კანცლერის სებასტიან კურცის, ვიცე-კანცლერის ჰაინც-კრისტიან შტრახეს და ქვეყნის შს მინისტრის ჰერბერტ კიკლის ერთობლივ განცხადებაში.

მანამდე, ქრისტიან-სოციალური კავშირის წარმომადგენელმა ჰორსტ ზეეჰოფერმა განაცხადა, რომ პარტიამ შეძლო, მიეღწია მიგრანტების საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებისთვის ქრისტიან-დემოკრატიულ კავშირთან, რომლის მეთაურიცაა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და დასძინა, რომ სურს, დარჩეს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე.

იგი ასევე აღნიშნავს, რომ ავსტრიის ხელისუფლება გერმანიის მთავრობის მხრიდან სწრაფ განმარტებას ელის. ცნობისთვის, პარასკევს ევროკავშირის 28 წევრმა ქვეყანამ ხმა მისცა შეთანხმებას მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით.

ტრამპს პუტინთან პირისპირ შეხვედრა სურს

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აპირებს, 16 ივლისს ჰელსინკში პირველ რიგში შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს პირისპირ და შემდეგ უკვე განაგრძოს მოლაპარაკებები თანაშემწეების თანდასწრებით. „რაც შეეხება პუტინს, ტრამპმა უკვე შეაფასა მათ შორის პირადული კავშირი, მაგრამ უნდა მეტი დრო, რათა განავითარონ ურთიერთობები, როგორც ორი ქვეყნის ლიდერებმა“. ტრამპი უახლოეს დღეებში პუტინთან შეხვედრის ფორმალური მომზადების დაწყებას აპირებს.

„სავარაუდოდ, ეს იქნება მოკლე შეხვედრები თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველ ჯონ ბოლტონთან და სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოსთან, ასევე ეროვნული უსაფრთხოების სხვა წარმომადგენლებთან“, — ნათქვამია მოხსენებაში. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრა 16 ივლისს ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში შედგება.

ტრამპი ნატოს პარტნიორებისგან თავდაცვის ხარჯების გაზრდას ითხოვს

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ნატოს წევრი ქვეყნების რიგ ლიდერებს მკვეთრი ტონის მოთხოვნა გაუგზავნა, შეასრულონ იქამდე მიცემული ვალდებულებები თავდაცვის ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით. წერს გაზეთი New York Times. წერილი მიმართული იყო ძირითადად გერმანიის, ბელგიის, ნორვეგიისა და კანადის ლიდერებისთვის ჯერ კიდევ ივნისის თვეში. მასში დონალდ ტრამპმა აღნიშნა, რომ უკვე კარგავს მოთმინებას დანაპირების განხორციელების მოლოდინში.

გაზეთის ვერსიით, ეს წარმოადგენს მტკიცებულებას აშშ-სა და ევროპას შორის უთანხმოების შესახებ, რომელიც გამოვლინდა „დიდი შვიდიანის“ შეხვედრაზე, კვებეკში გასულ წელს და ხაზს უსვამს ევროპელი მოკავშირეების შეშფოთებას — რუსული საფრთხის წინაშე მდგარი სოლიდარობის ნაკლებობას. წერილში გერმანიის კანცლერის მიმართ დონალდ ტრამპმა დაწერა: „თავდაცვის ბიუჯეტში გერმანიის მიერ გრძელვადიანი გადახდები ძირს უთხრის კავშირის უსაფრთხოებას და საბაბი ხდება სადაზღვევო ვალდებულებების შეუსრულებლობისა თავდაცვის სხვა მოკავშირეებისთვის, რომლებიც განიხილავენ გერმანიას როგორც ნიმუშს“.

ნაჯღვნა

ჩემი ყურადღება მიიპყრო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (22 მაისი. 2018 წ.) გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ ნარკოლოგ, პროფესორ ზურაბ სიხარულიძესთან, სადაც პატივცემული ექიმი ბრძანებს: **„ის ადამიანი, რომელიც ფლობს სწორ ინფორმაციას, თუ რა ზიანი მოაქვს ნარკოტიკს, სხვაგვარად იმოქმედებს. შენ, როგორც სახელმწიფო, ვალდებული ხარ ეს ინფორმაცია ადამიანს მიაწოდო, დანარჩენი უკვე მისი არჩევანია... სადაც მძიმე სოციალური ფონია, ან იაფფასიანი ნარკოტიკი ჩნდება, ან სასმელი“**.

მე ვერ დავიჯერებ, სადაც პატივცემული ექიმი მოღვაწეობს, იმ საავადმყოფოში კედელზედაც არ იყოს გაკრული განმარტება, თუ რა საშინელების მომტანია ნარკოტიკების მოხმარება. მაგრამ, რაც შეეხება ჩვენს ტელევიზიებს, აქ პროფესორი ცამდე მართალია. ათას, პირდაპირ ვიტყვი, სულელურ გადაცემას შორის, მე არ მიხილავს ნარკოტიკების საშიშროებაზე საუბარი, ის კი არადა, ტელეწამყვანმა ქალბატონმა ჟიჟილაშვილმა მომღიმარი სახით, პირდაპირ დაუთმო ეკრანი ე.წ. „თეთრი ხმაურის“ წარმომადგენლებს, რომელთა შორის ერთი ახალგაზრდა ქალი შევიცანი კუშტი გამომეტყველებით, რომელიც ნიადაგ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების დაცვაზე ღაღადებს. ვიმეორებ, ტელეეკრანი მხოლოდ ამათ ეთმობოდათ, სადაც არც ერთი საპირისპირო ხმა – არც ექიმის, არც მღვდლის, არც რომელიმე მოღვაწის – იქ არ გაისმოდა. როგორც მითხრეს, დღეს ეს მოდაა, ე.წ. „სვეტობაა“, რომელსაც, არცთუ დიდი ხნის წინათ, ხარკს უხდიდა ამავე გაზეთში ერთი „პოლიტოლოგი“.

რაც შეეხება „მძიმე სოციალურ ფონს“, რის გამოც ჩნდება „ან იაფფასიანი ნარკოტიკი ან სასმელი“, აქაც ცამდე მართალია პატივცემული პროფესორი. ის დრო აღარ არის, როდესაც გრაფი მონტე-კრისტო უძვირფასეს ჰაშიშს ღებულობდა, ან პრინცი რუდოლფი – მორფინიუმს ლამაზი ფილმიდან „მაიერლინგი“. უკვე შარლ ბოდლერი მოთქვამდა: „მსურს აღვწერო და ანალიზი გავუკეთო იმ ზნეობრივ დაცემას, რომელსაც იწვევს სახიფათო და საამო ვარჯიშები... ხვალინდელი დღე! საშინელი ხვალინდელი დღე! სისუსტე, სხეულის ყველა ნაწილში დაღლა, ნერვების დარბილება, ცრემლების კრუნჩხვითი მოვლინება, რამდენადმე დიდი სამუშაოს გაწევის შეუძლებლობა მიგითითებთ თქვენ, რომ აკრძალული თამაში წარმართეთ... ყველაზე მეტად დაზიანდა ნებისყოფა, ყველაზე უძვირფასესი თვისება“.

თუმცა, ვის ვუწერ ამას? პატივცემული პროფესორი, ალბათ, თავის ყოველდღიურ პრაქტიკაში ასეთი მოვლენების შემსწრეა. იგი ასეთი დიალოგის შემსწრეც იქნება:

„მორალისტი: თქვენი დამღუპველი გატაცება ამსხვრევს თქვენს გონებრივ უნარებს და თქვენ აღარ იქნებით საზოგადოების სასარგებლო წევრი.

მორფინისტი: საზოგადოება წარმოადგენს ისეთივე პირების ჯამს, როგორიც მე ვარ, ჩაკეტილებისას, თითოეულს თავის პირად სასიამოვნო ან უსიამოვნო განცდათა სფეროში; მე არ მესმის, თუ რატომ უნდა შევწირო ჩემი სასიამოვნო განცდები სხვა პირს ან პირთა ჯამს.

მორალისტი: თვით იმ თვალსაზრისით, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ თქვენს პირად განცდებს, თქვენი ქცევა არასწორია: თქვენ მოსპობთ თქვენს ჯანმრთელობას და შეიმოკლებთ თქვენს სიცოცხლეს.

მორფინისტი: რად მინდა უფერული ცხოვრება ჯანმრთელი ადამიანისა და კუს მოსაწყენი დღეგრძელობა? წამი უფრო სავსე ცხოვრებისა ღირებულია ათწლეულობით გაგრძელებულ, ნორმალურ, უშინაარსო სიცოცხლეზე“.

შესაძლოა, პროფ. სიხარულიძე გაოცდეს, რომ მისთვის ასეთი ჩვეული დიალოგი მოთავსებულია გამოჩენილი ფილოსოფოსის, რუსეთში ინტუიტივიზმისა და პერსონალიზმის დამფუძნებლის **ნიკოლაი ლოსკის (+1965) წიგნში „ღირებულება და ყოფიერება“**. საინტერესოა, რომ ამ დიალოგში, ნ. ლოსკი მორფინისტის მსჯელობას ანიჭებს უპირატესობას, რადგან ე. წ. „მორალისტი“ უარყოფს სამყაროს იდეალურ ასპექტს. იგი აღიარებს მხოლოდ ფაქტების არსებობას (შემთხვევებს სივრცესა და დროში), სუბიექტურად სასიამოვნოს ან უსიამოვნოს. სამყაროს ამდაგვარი აგებულებისას შეუძლებელია გონიერი საფუძვლების პოვნა, რათა უპირატესობა მივანიჭოთ ქცევის ერთ გზას მეორესთან მიმართებაში, შეუძლებელი იქნებოდა ქცევის ნორმების დადგენა, რომელთა მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავიანთ თავში შეიცავენ საყოველთაო მნიშვნელობის შინაგან გამართლებას. თუ რა გზას პოულობს ნ. ლოსკი მორფინისტის მსოფლგაგების დასაძლევად, ამაზე ცოტა ქვემოთ, მანამ კი ცოტა რამ ფსიქოლოგიიდან.

„რა ინტენსიურადაც ლტოლვა ვლინდება, მით უფრო მეტია განცდა ყველა დანარჩენი სტიმულირების მიმართ გულგრილობისა, საერთოდ ყველაფრის მიმართ, რაც მიზანს დააშორებდა“ (ფილიპ ლერში, ხასიათის სტრუქტურა, ლაიპციგი, 1942, გვ. 221). „კარგად გაიაზრეთ, საერთოდ როდის გვსურს რაიმე? როდესაც უხალისობა გვეუფლება ან ვფიქრობთ, რომ გვეუფლება. არავითარ უხალისობას რომ არ ვგრძნობდეთ, არც არაფერს ვისურვებდით საერთოდ. უხალისობის (Unlist) გარეშე, არ არსებობს სურვილი. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყოველთვის გვსურს, უხალისობა სიამოვნებით შევცვალოთ, მწუხარება – სიხარულით (რიხარდ ჰაიზე, ნევროზულობა (ცხოვრებისეული და სულიერი კონფლიქტები), ვალცენჰაუზენი – შვეიცარია, 1928, გვ. 31).

ამგვარად, ნარკომანის გადასარწმუნებლად არავითარი „რაციონალური“ შეგონება არ ჭრის, გარდა ერთისა, რასაც ნიკოლაი ლოსკი გვთავაზობს. მისი აზრით, **„მსოფლგაგება, რომელსაც მივყავართ აქსიოლოგიური რელატივიზმისკენ და სუბიექტივიზმისკენ – მცდარია. სინამდვილეში, არსებობს ღმერთი და ღვთის სამეფო, როგორც აბსოლუტურად ღირსეული და გამართლებული ყოფიერება; და თვით ჩვენი სამეფო ფსიქომატერიალური ყოფიერებისა არის, თუმცა, არასრულყოფილი, მაგრამ მაინც – ორგანული მთლიანობა; ყოველი არსება არ არის თავის თავში ჩაკეტილი; არსებობს ინტუიცია; შესაძლებელია ჭეშმარიტი სიმპათია და სიყვარული; შესაძლებელია გმირული საქმე და ნამდვილი ჰეროიზმი; ყოველ არსებას ძალუძს, ჭეშმარიტად და უშუალოდ ეზიაროს როგორც თავისივე მსგავსი არსებების ცხოვრებას, ასევე უმაღლესი რანგის არსებათა, ერის, კაცობრიობის, სამყაროს ცხოვრებას. უფრო მეტიც: ყოველ მოღვაწეს შეუძლია, გახდეს ღვთის სამეფოს მონაწილე, მონაწილე მისი საერთო შემოქმედებისა და ყოფიერების აბსოლუტური სისავსისა, რომლის წინაშეც ნარკოტიკებით თრობა წარმოადგენს შესაბრალის სიღარიბეს“.** ყოველ შეპასუხებას ნ. ლოსკი ფართო მსჯელობით უარყოფს, რომლის დასკვნა შეიძლება, მისივე სიტყვებით გადმოიცეს: **„არავითარ მეცნიერებას არ დაუმტკიცებია ღვთის არ არსებობა და ღვთის სამეფოს შეუძლებლობა“.**

ნ. ლოსკის ამ ნათელი მსჯელობის პარალელურად შეიძლება, აღიძრას კითხვა: საიდან აღწევს კაცთა შორის ეს წარღვნა, რომელიც გვეცხადება ხან ნარკომანიით, ხან გახშირებული მკვლელობებით, რომლის ახსნასაც ცდილობენ მკვლელის ანგარებით და სხვადასხვა მიზეზებით. სინამდვილეში, აქ მეჭეშმარიტება ნიცშეს ინტუიცია მკვლელზე, როდესაც იგი თავისი „ფერმიხდილი ბორტმოქმედის შესახებ აცხადებს, რომ **„მის სულს სურდა სისხლი და არა ძარცვა: მას სწყუროდა დანის ბედნიერება!“** ასევე წარღვნად მივიჩნევ ჰომოსექსუალიზმის დაცვასა და მის ქადაგებას, მიუხედავად შტეფან ცვაიგის ბრწყინვალე ნოველისა „გრძნობათა აღრევა“, რომელიც სიბრალულის გრძნობას იწვევს ჰომოსექსუალისტის მიმართ. ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, განმსაზღვრელი უნდა იყოს ქრისტიანული რწმენის პოზიცია ჰომოსექსუალიზმის მიმართ, რომელიც მას გმობს.

პავლე მოციქული ბრძანებს: **„ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სული წმიდისა, რომელიც გაქვთ ღმერთისგან, და არ ეკუთვნით თქვენს თავს?“** (I კორინთელთა მიმართ, 6, 19). **„ამიტომაც მისცა ისინი ღმერთმა საგინებელ ვნებებს, ვინაიდან ქალებმა მათი ბუნების წესი არაბუნებითით შეცვალეს; ასევე კაცებმაც დაუტევეს ქალებთან ბუნებრივი ცხოვრების წესი და გულისთქმით გახურებულნი აღერივნენ ერთმანეთს, მამრი მამრთან იქმოდა სარცხვინელს, და თვითონვე იღებდნენ თავიანთი ცდომის საკადრის სასჯელს. და რაკი იუკადრისა გონებით ღმერთის წვდომა, ამიტომაც უჯერო საქმეთა საქმნელად მისცა ღმერთმა ისინი უკულმართ ვნებას... ამნაირ საქმეთა ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი არიან“** (რომაელთა მიმართ, I, 26-32).

XX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი კარლ რანერი გვამცნობს (თხზულებები თეოლოგიისათვის, ტ. I, ციურიხი-კიოლნი 1967, „თეოსი ახალ აღთქმაში“, გვ. 125-127): **„ღმერთის პერსონალურობა ჩნდება იმით, რომ ღმერთი მოქმედებს ადამიანთან ისტორიულ დიალოგში, რომ იგი ადამიანს, მის ქმნილებას, პიროვნებად გახდომის შესაძლებლობასაც აძლევს. თუ რა იგულისხმება ამით, საჭიროებს მოკლე, წინასწარ განმარტებას. ღვთის ყოველი მარტოოდენ მეტაფიზიკური შემეცნება, რომელიც უშუალო ცდისეული სინამდვილიდან მის საბოლოო საფუძვლამდე წინ იწევს – და მას ღმერთს უწოდებს, სულ მცირე, იმის საშიშროებაში იმყოფება, რომ სამყარო გაგებული ხდება ღვთის მარტოოდენ ფუნქციად, რომ სამყარო ამ საფუძვლის მხოლოდ და მხოლოდ გამოხატულება და ობიექტივაციაა, იგი ხდება მარტოოდენ ღვთისგან წარმოებული ფუნქცია (როგორც კონტრდარტყმა იმის საპირისპიროდ, რომ ღმერთი მარად საშიშროებაში იმყოფება გახდეს სამყაროს მხოლოდ შინაგანი აზრი). ამგვარად, მეტაფიზიკისათვის საშიშროება თითქმის გარდაუვალია, რომ მას მხედველობიდან გამორჩეს ორმხრივ-პიროვნული დამოკიდებულება ღმერთსა და სულიერ ქმნილებას შორის, რომ იგი ვერ გებულობს, რომ პიროვნული ღმერთი სამყაროზე იმდენად აღმატებულია, რომ მასზე ამ მთლიანად დამოკიდებულ სამყაროს მაინც ძალუძს ნამდვილი აქტივობა მიანიჭოს და სახელდობრ, თავად მის საპირისპიროდ, რომ პიროვნულ-სულიერ სამყაროს ღვთის საპირისპიროდ ნამდვილად ძალუძს რეაქტიულ მდგომარეობაში ყოფნა, რომ მთლიანად მასზე დამოკიდებული (მისი მეშვეობით, მის საპირისპიროდ) ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას ღებულობს, რომ ღმერთს ადამიანისათვის თავად ღვთის საპირისპიროდ თავისუფლების მინიჭება ძალუძს.**

ადამიანი ნამდვილ **დიალოგში** იმყოფება ღმერთთან. ღვთის სიტყვას, მასზე მიმართულს, იგი პასუხს სცემს ისე, როგორც ეს მას, ადამიანს, სურს. და ეს პასუხი, შესაძლოა, ღვთის სურვილის წინააღმდეგ იყოს გამოთქმული. ადამიანს შეუძლია თავისი გული გააქვავოს მას შეუძლია ღვთის სულს წინააღმდეგობა გაუწიოს მას შეუძლია ღვთის ნებას დაემორჩილოს ან არ დაემორჩილოს, ადამიანს შეუძლია მას შეეწინააღმდეგოს, მას შეუძლია კარზე მოკაკუნე ღმერთს თავისი გულის კარი დაუხშოს, მას შეუძლია ღვთის მიერ დასახულ ხსნის გეგმას თავისი უარყოფითი სურვილი დაუპირისპიროს და ა.შ. სამყაროში ღვთის საწინააღმდეგო ძალთა არსებობა, რომლებიც, ამის მიუხედავად, მაინც ღვთის ქმნილებებია, ურღვევად ერთვის სულიერი ქმნილებების პიროვნული დამოუკიდებლობის სინამდვილეს. ცოდვის სინამდვილე, მისი ვერმიმტევებლობა ღვთის წინაშე, ცოდვაზე ღვთის რისხვა, ღვთის მოწოდება მასთან შერიგებისა, ლოცვა, რომლის ექსისტენციური ჭეშმარიტება მაინც იმაზეა დამოკიდებული, რომ ადამიანს ნამდვილი ინიციატივა აგრეთვე ღვთის მიმართ გააჩნია, ყველა ეს ახალ აღთქმაში დადასტურებული სინამდვილე გულისხმობს იმავე ორმხრივ პიროვნულ ურთიერთობას ღმერთსა და ადამიანს შორის. და ასეა გასაგები თავისებურება ღვთის თავისუფალი ქმედებისა. ღვთის ქმედება ხსნის ისტორიის მსვლელობაში არ წარმოადგენს მონოლოგს, რომელსაც ღმერთი მარტოდმარტო თავის თავთან აწარმოებს, არამედ ეს გახლავთ გრძელი, დრამატული დიალოგი ღმერთსა და მის ქმნილებას შორის... ამიტომ ისტორიას აქვს ჭეშმარიტი და აბსოლუტური სერიოზულობა, აბსოლუტური გადაწყვეტილება, რომელიც ქმნილებისათვის არ შეიძლება, რელატივირებული იყოს მითითებით – რომელიც ერთდროულად ჭეშმარიტიც არის და ყალბიც – რომ **ყოველივე ღვთის ნებისაგან აღმოცენდება და არარას ძალუძს მას წინ აღუდგეს“. მიუხედავად ამისა – განაგრძობს კარლ რანერი – არსებობს „მიუწვდომელი ფაქტი“ ბოროტების არსებობისა მსოფლიო ისტორიაში. რაც ღვთის გარეშეა, ვერასოდეს აღწევს თავის თავში ყოვლისმომცველ ჰარმონიას და თვით ასეთ „დისონანსში მყოფი სამყარო“ გვამცნობს ღვთის დიდებულებას „მიუწვდომელი გზებით“. აქ სამართლიანად შეიძლება მოციქული პავლეს სიტყვების მოყვანა: „ო, ადამიანო, ვინ ხარ შენ, რომ მას ედავები?“** (რომაელთა მიმართ, 9, 20).

მთელი ეს ვრცელი ამონაწერი კარლ რანერის შრომიდან იმიტომ დამჭირდა, რომ მკითხველისთვის ნათელი ყოფილიყო: წარღვნა, რომელზედაც ვსაუბრობ, ზოგადსაკაცობრიო წარღვნაა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მას არ შევებრძოლოთ. ეს ჩვენი მარადიული ვალია მანამ, სანამ მეორედ მოსვლისას თავად მაცხოვარი არ განსჯის მტყუანსა და მართალს.

ვიქტორ რცხილაძე

◎ პატივგება

ზაზა ფაჩულია – სპორტის რაინდი!

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტანსა და NBA-ის მოქმედი ჩემპიონის – Golden State Warriors-ის ცენტრს ზაზა ფაჩულიას სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა.

პრემიერმა ზაზა ფაჩულიას 17-წლიანი ბრწყინვალე სანაკრებო კარიერისთვის და საერთაშორისო სარბიელზე ქართული კალათბურთის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა და სამომავლო საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

ზაზა ფაჩულია პირველი ქართველი კალათბურთელია, რომელიც ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ჩემპიონი გახდა (Golden State Warriors 2017). მან წელსაც Golden State Warriors-თან ერთად კიდევ ერთი ოქროს ბეჭედი მოიგო. ზაზა ფაჩულია პირველი ევროპელი ცენტრია პაუ გასოლის (ესპანეთი) მსგავსად, რომელმაც ორჯერ შეძლო NBA-ის ჩემპიონობის მოპოვება. ფაჩულიამ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სამჯერ ითამაშა.

გეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

ესეც პროგრამა-მინიმუმი

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მორიგი ლოკალური წარმატება მოიპოვა და გაისად ჩინეთში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში თამაშის შანსი შეინარჩუნა.

საამისოდ ილიას ზუროსის გაწვრთნილ გუნდს მომავალი ფორუმის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ ტურნირში მინიმუმ მესამე ადგილის დაკავება მართებდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, მიზანს ადვილად მიაღწია, თუმცა, რამდენად მოახერხებს მთავარი ოცნების ასრულებას, ძნელი სათქმელია, რადგან მეორე საკვალიფიკაციო ბატალიებში მხოლოდ ავსტრიასთან მოხვეჭილი ორი მომგებიანი ქულა გადაგვყვა, მომავალ მრისხანე მეტოქეებს – საბერძნეთს, ისრაელსა და ესტონეთს კი ჩვენზე უკეთესი მონაგარი აქვთ. და მაინც – ევროპის 24 წამყვან ნაკრებს შორის ადგილის დამკვიდრება ქართული კალათბურთის ისტორიაში გადაშლილი კიდევ ერთი ნათელი ფურცელია, რისთვისაც „ჯვაროსნები“ მადლობას იმსახურებენ.

საქართველო – ავსტრია 98:73

როგორც მოგეხსენებათ, პირველ წრეში ალპური ქვეყნის შვილები იოლად დავამარცხეთ – 78:64. სტუმრენბმა ვერც ამჯერად გაგვიწიეს ღირსეული წინააღმდეგობა, რასაც შენგელიას (24 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი, 3 ჩაჭრა), ცინცაძეს, სანაძესა და ჭაბუკ ბითაძეს უნდა ვუმადლოდეთ.

ბრძოლები ცისქვეშეთის საგზურებისთვის სექტემბერში განახლდება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

დამსხვრეული იმედები

მსოფლიოს ჩემპიონატზე მშობლიური საფეხბურთო ნაკრების უხეირო გამოსვლამ სრულიად გერმანია გაანაწყენა და ვისაც კი არ ეზარება, უკანასკნელ დღეებში ყველა ბუნდესქვეყნის უპირველესი გუნდის გაბიაბრუებაში, კრიტიკასა და პანღურის ძალმოსილად რტყმაშია.

საერთო ტენდენციას არც ცნობილი გერმანელი მოდელი ფიონა ერდმანი ჩამორჩა, რომელმაც თანამემამულე ფეხბურთელებს “წარმატებებით გადაღლილი უსულგულო ადამიანები“ უწოდა და დაიწუწუნა, სულ ტყუილად მქონდა ამ უხეიროების იმედი და არამი იყოს მათზე ჩემი ნერვიულობა და ორთავ თვალიდან დაღვრილი ცრემლიო.

ფიონა ერდმანი, მართალია, გერმანიის ეროვნული ნაკრების თილისმად არასოდეს იწოდებოდა და მისი ფიქრნი სულ სხვა ამბებზე დანავარდობდა, მაგრამ ეს ასული ფეხბურთისადმი გულგრილი არასოდეს ყოფილა. უფრო მეტიც, ორი წლის წინათ ფიონას ბედს ტონი კროოსთანაც კი აკავშირებდნენ, მაგრამ ის ჭორი ჭორადვე დარჩა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ თანამშრომლობა

რაგბის კავშირი და „ვაკის ხორცპროდუქტები“ დამეგობრდნენ

საქართველოს რაგბის კავშირსა და ხორცპროდუქტების კომპანია „ვაკეს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ცხელი ზაფხულის სასიამოვნო საღამო „ვარდების ბაღში“ მდებარე „ჰაინეკენ გარდენში“ (Heineken Garden) მოეწყო და მას 200-მდე სტუმარი ესწრებოდა. ღონისძიებაზე იყვნენ საქართველოს 20 და 18-წლამდელთა ნაკრებების, ასევე, რაგბის მხარდამჭერთა კლუბის წევრები.

საქართველოს რაგბის კავშირი (იმხანად „თბილისის რეგბის სექცია“) 1961 წელს დაარსდა. მაშინვე დაფუძნდა კომპანია „ვაკე“, ამჯერად კი ამ ორი, დიდი გამოცდილების მქონე ორგანიზაციის თანამშრომლობა ოფიციალურად გაფორმდა. მემორანდუმს ხელი სრკ-ის პრეზიდენტმა **გოჩა სვანიძემ** და „ვაკის“ გენერალურმა დირექტორმა **ლევან ჩხაიძემ** მოაწერეს.

ოფიციალური ნაწილის დასრულების შემდეგ, სრკ-მა „ვაკეს“ „ბორჯღალოსანთა“ ხელმოწერებით დამშვენებული სათამაშო კვართი და ბურთები გადასცა, ხოლო ხორცპროდუქტების კომპანია სტუმრებს გრილზე შემწვარი ოთხი სხვადასხვა სახეობის პროდუქტით და ცივი ლუდით გაუმასპინძლდა.

კოზა კოზახიძე

◎ მუნდიალი-2018



მწვრთნელია და ქუდი ხურავს...

ყველა ნიჭზე ძლიერი ქვეყნის დაცვის ნიჭიაო! – ბრძანებდა პოეზიის მეფე.

სპორტულ-პროზაულ პერიფრაზს თუ გამოვიყენებთ, მწვრთნელის კვალიფიციურობის შესაფასებლად უტყუარ ბარომეტრს, სხვა კომპონენტებთან ერთად, მის მიერ საჭიროების მიხედვით განხორციელებული იღბლიანი ცვლილებები წარმოადგენს (ყოველ შემთხვევაში, უნდა წარმოადგენდეს).

ასეთი შესავლის შემდეგ, მოდით, გავხსნათ ბრჭყალები და პირდაპირ მოვჭრათ: ბელგიის ნაკრების ესპანელ თავკაც რობერტო მარტინესს შესაშური ალღო ჰქონია, რადგან მუნდიალის მერვედფინალში იაპონელთა წინააღმდეგ წარუმატებლად განვითარებულ მოვლენებს მან ბრძოლაში ფელაინისა და შადლის ჩაბმით უპასუხა, შედეგად კი ბენილუქსელები სწორედ აღნიშნული დუეტის ძალისხმევით ზღაპრულად (0:2-ის შემდეგ 3:2) გავიდნენ მეოთხედფინალში, სადაც ბრაზილიელებს შეხვდებიან.

სხვათა შორის, პირენეელ სპეციალისტს კიდევ ერთი, არანაკლებ ფასეული ღირსება აღმოაჩნდა, რაც მისი პროფესიის ადამიანისთვის ერთიორად ღირებულია. საუბარია ფრონტის ხაზიდან გუნდის ლიდერების მერტენსისა და კარასკოს მოხსნაზე, რომლებსაც ამჯერად თავიანთ ფლანგებზე თამაში არ წაუვიდათ, ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმა კი, დაგვეთანხმებით, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გარკვეულ პრინციპულობასა და პიროვნულ სიძლიერეს მოითხოვს. და კიდევ: როსტოვში გამართულმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ბელგიელთა ფავორიტობა და საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობა – მათ ხომ სრულფასოვანი რეზერვისტებით გამორჩეული სათადარიგოთა სკამი ჰყავთ, რაც მარათონული ფორუმის განმავლობაში ძვირფას კოზირად შეიძლება იქცეს.

ბრაზილია-მექსიკა – 2:0 (გოლები: ნეიმარი, ფირმინო).

გუშინ: შვედეთი – შვეიცარია 1:0

გიორგი შოთაძე

ენგურჰესთან დაკავშირებით ახლა რაც კეთდება, კარგად დავიწყებული ძველია!

ენგურჰესის ატრაქციად მოწყობის დეტალური პროექტირება დასრულდა. ამ ჰესის ატრაქციად მოწყობის სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. ენგურის კაშხლის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურა მოიცავს გადასახედ მოედნებს, საბაგირო გზას, სამეცნიერო და აღმოჩენათა ცენტრს, საკონცერტო სცენას, პარაპლანისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას, სერფინგის ცენტრს, პანორამულ ლიფტს და ა.შ.

რამდენად დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნას აწ უკვე ატრაქციად ქცეული ენგურჰესი?! ამის შესახებ საერთაშორისო ენერგეტიკული აკადემიის ნამდვილი წევრი, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა გვესაუბრება.

— ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ენგურის ტურისტული ზონა რეგიონში ყველაზე შემოსავლიანი იქნება და წელიწადში 400 ათას ტურისტს მოემსახურება. ეს უდიდესი კომპლექსი, რომელიც გადაჭიმულია დაბა ჯვრიდან შავ ზღვამდე 1000-მდე კვადრატულ კილომეტრზე, რამდენად დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნას და პირადად თქვენ თუ გაეცანით ატრაქციის დეტალურ პროექტს?

— კონცეპტუალურ დონეზე ვიცნობ ამ გადაწყვეტილებას და მხარს ვუჭერ. ატრაქცია ნამდვილად შემატებს მომხიბვლელობას ამ ნაგებობას, რომელიც თავისი მასშტაბით, პარამეტრით, მდებარეობით, სირთულეებით სერიოზული განაცხადია საინჟინრო საქმიანობაში.

— ენგურჰესის მიმართ ტურისტული ინტერესი მანამდეც იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ენგურის თაღოვან კაშხალს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, მის მიმართ ინტერესი გაიზარდა. ამას რით ახსნით?

— ვისაც სვანეთისკენ ჰქონდა გეზი აღებული, უთუოდ ენგურჰესისკენ შეივლიდა ხოლმე. ზუგდიდიდან მესტიამდე ცენტრალური გზის გარკვეულ მონაკვეთზე, რომელსაც მე-11 გზას ვეძახით, არის შესასვლელი და ეს შესასვლელი უზრუნველყოფს კაშხლის მიმდებარე ტერიტორიამდე მისვლას. იქ არის მოედნები, საიდანაც შეიძლება ამ კაშხლის დათვალიერება — ზევიდან, ქვევიდან. იქვე არის თვითონ დამაკავშირებელი კაშხალი, რომელიც ერთ ნაპირს მეორე ნაპირთან აკავშირებს. თუმცა ამჯერად ეს უმოქმედოა, ადგილობრივი პერსონალის გარდა თავისუფალი მიმოსვლა იქ არავის შეუძლია. დღესდღეობით იქ შესვლა სანქცირებული არ არის, მაგრამ სანახაობითი ატრაქციონის მოწყობის პირობებში ეს ხელმისაწვდომი გახდება.

— პარაპლანით ფრენა უსაფრთხო იქნება?

— უსაფრთხოება დაცული იქნება, რადგან ეს კაშხალი თავისი კონსტრუქციული გადაწყვეტილებებით, პარაპეტებით უსაფრთხოებისთვის დაცულია. ეს ისეთი ნაგებობაა, რომ საუბარი რაიმე გაუგებრობაზე გამორიცხულია, თუკი ვინმემ არ მოინდომა შეგნებულად გადახტომა. დღესდღეობით არ იგრძნობა ტურისტთა დიდი მოზღვავება, ამას სათანადო მომზადება, პროპაგანდა სჭირდება.

— კომუნისტების პერიოდიდან მოყოლებული, ენგურჰესს უამრავი ცნობილი ადამიანი აღფრთოვანებაში მოუყვანია. მათ შორის, პოეტების შთაგონების წყაროც გამხდარა.

— ასეთი შემთხვევა მახსენდება, როდესაც ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი ევგენი ევტუშენკო ჩავიდა აფხაზეთში, სადაც მას დასასვენებელი სახლი ჰქონდა. მან შეიტყო, რომ ენგურჰესი შენდებოდა, მისი ნახვის სურვილი გამოთქვა და ჩემთან მოვიდა. ცხადია, მივიღე, მე გახლდით მისი მეგზური, მერე სვანეთშიც ავიყვანეთ, ეს კუთხეც ვაჩვენეთ. მან კი ლექსი მიუძღვნა ენგურჰესელებს და ენგურჰესის კაშხალს, იმდენად აღფრთოვანდა ჩვენი საქმიანობით. ჩვენი ხალხი გმირად დაახასიათა თავის ლექსში.

სხვათა შორის, 1980 წელს თურქეთის ტერიტორიიდან ჩამოვიდა მაღალი კაშხლების მსოფლიო კომისიის პრეზიდენტი. მასაც დავხვდი. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო და, მე, როგორც ინსტიტუტის დირექტორს, ჩვენი სფეროს მინისტრმა მოსკოვიდან დამავალა, გამეწია გიდობა და მიმეღო ეს პიროვნება. სტუმარს ბათუმში დავხვდი, მაშინ სარფის შესახებ არც გაგვეგო და არც ვიცოდით, როგორ უნდა გადმოსულიყვნენ თურქეთიდან, მაგრამ მათი გადმოსვლა რაღაცნაირად მოხერხდა. სტუმარი ჩამოვიყვანე ენგურზე, ვაჩვენე ენგურჰესი და უცბად უცნაური სცენის მომსწრენი გავხდით არა მარტო მე, არამედ მისი თანმხლები ჟურნალისტებიც. როგორც კი შევუხვიეთ ენგურის თაღოვანი კაშხლისკენ, გასწორდა გზა და პირდაპირ გამოჩნდა თაღოვანი კაშხალი, იყვირა ამ კაცმა, გააჩერეთ მანქანაო. გადმოვიდა მანქანიდან, მიწაზე დაემხო, ხელებს უბრახუნებდა მიწას და უყურებდა კაშხალს. აღტაცებისგან რა ეთქვა, არ იცოდა. მის მეუღლეს ვკითხე, ქალბატონო, რა დაემართა, რამე ხომ არ სჭირს-მეთქი? არა, ასეთი ხასიათი აქვს, როცა ძალიან აღტაცებულია, ასეთი რამ ემართება და არ გაგიკვირდეთ, ცოტა ხანში გაუვლისო. ასეთი შემთხვევა ბევრი მახსოვს.

კაშხალმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა ალექსეი კოსიგინზეც, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეზე. იგი ბიჭვინთაში ისვენებდა და ენგურის სანახავად ჩამოვიდა. იმდენად აღტაცებული და გაკვირვებული იყო, რომ დათვალიერების შემდეგ ითხოვა, ერთი ღამე გამაჩერეთ ენგურზეო. არადა, მისი წაყვანა წყალტუბოში იგეგმებოდა, მაგრამ არ წავიდა, დარჩა ენგურზე. იქვე სასტუმროსავით ობიექტი გვქონდა, დადიანების სასახლის გვერდით, სადაც საღამოს გაჩერდა. ვახშამზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა დაიწყო, კოსიგინი იყო თამადა, მას მიჰყავდა პარადი, სადღეგრძელოებს ამბობდა და ასეთი რამ თქვა, მოსკოვში რომ დავბრუნდები, მინისტრთა საბჭოს დადგენილებას მივიღებ, რომელმაც უნდა დააფიქსიროს, თუ რამდენად დიდ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგს იძლევა დიდი მშენებლობები ადგილობრივი რეგიონების განვითარებისთვის. კოსიგინმა ეს დასკვნა გააკეთა იქიდან, რომ ორი დღის განმავლობაში გაეცნო მოვლილ გზებს, რომელიც ბლომად გვქონდა გაკეთებული ენგურზე, გაეცნო ჯვრის, საბერიოს, რეჩხის დასახლებებს.

— კარგი გზების აგება იმთავითვე ტურისტული მიზნით გქონდათ ჩაფიქრებული?

— არა, ეს არ გვქონდა ჩაფიქრებული. მაშინ ამ აზრზე არ ვიყავით, მაგრამ ვფიქრობდით, რომ ასეთ მასშტაბურ მშენებლობას ოთხი რაიონი უნდა მოეცვა (წალენჯიხა, გალი, ზუგდიდი და მესტია). ამიტომაც ამ რეგიონებში ყველაფერი უმაღლეს დონეზე გავაკეთეთ. კოსიგინმა სწორედ ამას მიაქცია ყურადღება და მაშინდელ ცეკას მდივანს შევარდნაძეს უთხრა, რომ ეს იქნებოდა პირველი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა კავშირში ყალიბდებოდა ეტალონი იმისა, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს რეგიონები დიდი მშენებლობის პირობებში და როგორ უნდა მოქმედებდეს ხალხის კეთილდღეობაზე. თუმცა ეს დადგენილება არ გამოსულა, რადგან მოსკოვში ჩასვლის შემდეგ კოსიგინი რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს. მისმა შემცვლელმა ტიხონოვმა კი არ გააგრძელა მისი გზა. ამდენად, ყველაფერი, რაც კეთდება ახლა, კარგად დავიწყებული წარსულის განმეორებაა.

— ენგურის თაღოვანი კაშხლის კონსტრუქცია ქართული მიგნებაა?

— პირველი თაღოვანი კაშხალი საბჭოთა კავშირის სინამდვილეში ქართველების მიერ დაპროექტებული და აშენებული ლაჯანურის კაშხალი იყო, რომელიც 70 მეტრის სიმაღლისაა, ხოლო ენგური 271-მეტრიანია. მოგვიანებით საბჭოთა კავშირში სხვაგანაც აშენდა თაღოვანი კაშხლები, რასაც საფუძველი ჩაუყარა ქართულმა საინჟინრო აზრმა. თუმცა მსოფლიოში ეს კონსტრუქცია ცნობილი იყო, როგორც მედეგი და საინტერესო კონსტუქცია, რომელიც მასალათა დაზოგვას იწვევდა. გარდა ამისა, ეს კონსტრუქცია სიმსუბუქითა და მზიდუნარიანობით გამოირჩეოდა. ადგილი, რომელიც შევარჩიეთ ენგურისთვის, ზუსტად თაღოვანი კაშხლისთვის ქმნიდა კარგ წინაპირობას. განხილული იყო მრავალი ვარიანტი და უპირატესობა მიეცა ბეტონის თაღოვან კაშხალს. ვფიქრობ, ენგურჰესით დასავლეთის ქვეყნებიდანაც დაინტერესდებიან, რადგან მთა, თოვლი, სუბტროპიკები და საინჟინრო ხელოვნება უფრო მეტად ევროპული ინტერესის საგანია. თუმცა იაპონელების, ჩინელების მხრიდანაც დაინტერესება არ არის გამორიცხული, რადგან იაპონია სეისმოაქტიური ქვეყანაა, სადაც ერთ წამში ორი მიწისძვრა ხდება. ოპერაციას რომ აკეთებს ექიმი, მიწისძვრის ბიძგების ქვეშ უხდება მუშაობა. ამიტომ იაპონელებს დააინტერესებთ, რომ მიწისძვრების თვალსაზრისით ასეთ აქტიურ ზონაში — საქართველოში ავაშენეთ ამხელა სიმაღლის თაღოვანი კაშხალი. ენგურჰესის კაშხალი მსოფლიოში 2013 წლამდე ნომერ პირველ ნაგებობად ითვლებოდა თავისი მასშტაბით, 2013-ში უკვე ჩინელებმა გვაჯობეს და მესამე ადგილზე გადავინაცვლეთ. ცხადია, აზიის ქვეყნები დაინტერესდებიან, რადგან ასეთი მასშტაბები და ასეთი მშენებელობები მათთვისაც უცხო არ არის. მათ დიდი პრობლემა აქვთ წყალთან დაკავშირებით. ამიტომ, რეზერვუარები სჭირდებათ, სჭირდებათ თაღოვანი კაშხლები, მიწის კაშხლები, გრავიტაციული ბეტონის კაშლები. ამ მხრივ დიდი სამუშაო აქვს ჩატარებული სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტს, რომლის დირექტორიც გახლდით 30 წლის განმავლობაში. სხვათა შორის, ასეთი სამუშაოები ჩატარებული გვაქვს პერუშიც, ავღანეთშიც, ირანშიც. ასე რომ, ენგურჰესის მიმართ დაინტერესების ფართო წრეს ველით...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ავტოსაგზაო შემთხვევას მოტოციკლის მძღოლი ემსხვერპლა

დიღომში, აშშ-ის საელჩოსთან ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

შემთხვევის შედეგად მოტოციკლის მძღოლი დაიღუპა.

ერთმანეთს მსუბუქი ავტომანქანა და მოტოციკლი შეეჯახა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის და ექსპლუატაციის წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ბათუმში მაღაზია გაქურდეს

ბათუმში, ბესიკისა და 26 მაისის ქუჩების კვეთაზე მაღაზია გაქურდეს. ამის შესახებ ინფორმაციას „რუსთავი-2“ ავრცელებს.

მაღაზიის მეპატრონის განცხადებით, მაღაზიიდან წაღებულია თანხა და დაახლოებით 150 ლარის ღირებულების სიგარეტი. მისივე განცხადებით, მაღაზიაში 5 ქურდი შევიდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ქურდობას გულისხმობს. მათივე ცნობით, მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

საქართველოში ნარკოტიკი ყველა მხრიდან შემოდის

28 ივნისიდან 2 ივლისის ჩათვლით, საბაჟო გამშვებ პუნქტებში „სარფი“, „ნინოწმინდა“ და „ქუთაისის აეროპორტი“ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტების ქვეყანაში უკანონოდ შემოტანის მცდელობის ფაქტები აღიკვეთა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს, სომხეთის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების კუთვნილი ხელბარგების დათვალიერებისას, ფსიქოტროპული (114 აბი და 55 კაფსულა), ნარკოტიკული (64 აბი და 26 კაფსულა) ნივთიერების შემცველობის მედიკამენტები და ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა (10 გრამი) აღმოაჩინეს.

საქმეთა მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულებს გადაეცათ.

ტომ კრუზი 56 წლის გახდა



ცნობილი ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი ტომ კრუზი 1962 წლის 3 ივლისს დაიბადა. იგი იყო ნომინირებული სამჯერ ამერიკულ კინოაკადემია ოსკარზე და მოგებული აქვს ორი ოქროს გლობუსი. ტომ კრუზის როლებიდან აღსანიშნავია „წვიმის კაცი“, სადაც ითამაშა დასტინ ჰოფმანთან ერთად.

ოჯახში ტომ კრუზი იყო მესამე შვილი. მას ასევე ჰყავს 3 და. დედამისი იყო მსახიობი, ხოლო მამა ინჟინერი. სამსახურის შოვნის მიზნით ოჯახი ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. 14 წლის ასაკში მას უკვე გამოცვლილი ჰქონდა 15-მდე სკოლა. ბავშვობიდან განუვითარდა ერთგვარი სიმაღლის კომპლექსი. ის სკოლაში ყოველთვის ცდილობდა, ესაუბრა მასზე დაბალ ბავშვებთან, რათა დაბალი არ გამოჩენილიყო. ამ კომპლექსის გამო იგი სპორტის რამდენიმე სახეობით იყო დაკავებული. სწავლა მაინცდამაინც არ გამოსდიოდა, რადგან მას, ასევე როგორც დედამისს, აწუხებდა დისლექსია. ეს დაავადება მას შემდეგ განუვითარდა, რაც აიძულეს მარჯვენა ხელით წერა, როდესაც იგი ცაცია იყო. ამ პრობლემებთან დაკავშირებით იგი გადაიყვანეს სპეც-კლასში, მაგრამ ამ დაავადებისგან მაინც ვერ განიკურნა და დაბრუნდა ჩვეულებრივ კლასში.

ტომი 12 წლისა იყო, როცა მშობლები ერთმანეთს დასცილდნენ და ოჯახი ძალიან მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდა. მისი დები სწავლის დამთავრების შემდეგ, მუშაობდნენ, რათა შემოსავალი შემოეტანათ.

ერთი წლის განმავლობაში ტომი დადიოდა სასულიერო სემინარიებზე, შემდეგ კი უბრალო კოლეჯში შევიდა, სადაც მონაწილეობას იღებდა თეატრალურ დადგმებში. სწორედ აქ მიხვდა, რომ მსახიობობა მისი საქმე იყო.

სავარჯიშო თავსატეხი

ასაკის მატებასთან ერთად, ბევრნი გულმავიწყობას უჩივიან. რაც უფრო ხნიერი ხდება ადამიანი, მით უფრო მეტად უჭირს ტელეფონების ნომრების, მისამართებისა და მნიშვნელოვანი თარიღების დამახსოვრება.

მეხსიერების გაუარესების მიზეზები მრავლადაა, ესენია: სისხლის მიმოქცევის გაუარესება, ჰორმონალური დისბალანსი, ენდოკრინული დაავადებები, თუმცა, გულმავიწყობა ყოველთვის ჯანმრთელობის გაურესებასთან როდია დაკავშირებული, უბრალოდ, საქმე გვაქვს გონების გაზარმაცებასთან.

სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ყველაზე კარგი მეხსიერება აქვთ პატარა ბავშვებს, მათ ყოველდღიურად იმდენი ახალი სიტყვის, სახელისა და სახის დამახსოვრება უწევთ, რომ გონება გამუდმებით დიდი დატვირთვით მუშაობს და, შესაბამისად, ჩინებულ „ფორმაშიც“ არის. ასაკის მატებასთან ერთად ახალი ინფორმაციის ნაკადის სიმძლავრე იკლებს და მეხსიერებაც თანდათანობით გვიუარესდება. ამ პროცესის შენელება კი თავის ტვინის დიდი დატვირთვით უზრუნველყოფის შემთხვევაში შეიძლება.



მაგალითად, თუკი ყოველდღე თითო ოთხსტრიქონიან ლექსს დაიმახსოვრებთ, რამდენიმე თვეში შეამჩნევთ, რომ გულმავიწყობის შეტევები უფრო იშვიათი გახდება.

კიედვ უფრო მეტი სარგებლის მომტანია კროსვორდების ამოხსნა. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კროსვორდებისა და ლოგიკური ამოცანების ამოხსნა თავის ტვინში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. 65 წელს გადაბიჯებული ადამიანები, რომლებიც რეგულარულად უკირკიტებენ კროსვორდებსა და რებუსებს, სხვა თანატოლებთან შედარებით, ვისაც მსგავსი თავსატეხები დიდად არ უყვარს, სამჯერ უფრო იშვიათად უჩივიან მეხსიერების გაუარესებასა და ალცჰაიმერის დაავადებას.

ნინო ალექსანდრია

ყველა ნივთის საზომი

„მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ნახატი“, — ასე უწოდეს შექმნიდან 500 წლის შემდეგ ლეონარდო და ვინჩის „ვიტრუვიანელ კაცს“.



ესაა გენიალური იტალიელის გრაფიკული სერიიდან ერთ-ერთი, რომელიც მან 1480-1490-იანი წლების მიჯნაზე დახატა ადამიანის სხეულის მოწყობისა და პროპორციების თემაზე. იგი დარწმუნებული იყო, რომ ხელოვნება სამეცნიერო ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს, ამიტომაც გატაცებით სწავლობდა ანატომიასა და ხუროთმოძღვრებას, რადგან მილანის მმართველ ლოდოვიკო სფორცასთვის არა მარტო ფერმწერად, კიდევ მშენებლად და არქიტექტორადაც მუშაობდა.

ლეონარდო გულდასმით სწავლობდა რენესანსის ეპოქის ბესტსელერს — რომაელი ვიტრუვიუსის „ათ წიგნს არქიტექტურის შესახებ“, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში დაიწერა. „ვიტრუვიანელი კაცი“ — ესაა ნაშრომის მესამე წიგნის ილუსტრაცია, რომელშიც სხეულის ნაწილების იდეალური შეფარდებებია მოყვანილი. ვიტრუვიუსს მიაჩნდა, რომ არქიტექტორი ბუნების ჰარმონიას უნდა მისდევდეს, ამიტომაც შენობების აგებისას იგივე პროპორციების დაცვის რჩევას იძლეოდა.

რენესანსის ეპოქაში „ვიტრუვიანელ კაცს“ სხვებიც ხატავდნენ, მაგრამ ლეონარდოს მიერ შექმნილი გამოსახულება ავტორის ტექსტს ყველაზე ზუსტად მიესადაგება. ამავე ფურცელზე ლეონარდომ თავისუფალი თხრობით ტრაქტატიდან ამონარიდები სარკისებურად დაწერა, რაც იტალიელი ისტორიკოსის დომენიკო ლაურენცის აზრით, იმის ნიშანია, რომ მან ნახატი საკუთარი მოხმარებისთვის შექმნა: ის რომ უცხო თვალისათვისაც ყოფილიყო განკუთვნილი, მაშინ საკითხავად უფრო მოხერხებულად იქნებოდა დაწერილი.

ყვავილების კიდევ ერთი მაღლი

ოფისების თანამშრომლები, სადაც ბევრი მცენარეა, ავად უფრო იშვიათად ხდებიან.

ნორვეგიელი მეცნიერები აცხადებენ, რომ საოფისე სათავსოებში ყვავილები ხვეულების, თავის ტკივილისა და გადაღლის პრევენციას ახდენენ.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ოთახის მცენარეები, ასევე ნიადაგი, რომელშიც ისინი იზრდებიან, ანადგურებენ ჰაერში იმ მავნე შენაერთებს, რომლებიც ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებენ.

თუ სარეცხი გაქვთ გასაშრობი...

საცხოვრებელ ოთახებში ან სამზარეულოში თეთრეულის გაშრობა მეტად არასასურველია.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჰაერის ტენიანობის საგრძნობი მომატება (რაც გარდაუვალია დიდი ოდენობით ნამიანი სარეცხის გაშრობისას), იდეალური პირობაა ათასნაირი სოკოსა და სპორების გასამრავლებლად, რომლებიც ალერგიულ რეაქციებსა და ასთმის შეტევებს პროვოცირებენ. ამიტომ, **ნამიანი სარეცხის გაშრობა უმჯობესია ქუჩაში ან აივანზე, მით უმეტეს იმ ოჯახებში, სადაც პატარა ბავშვები არიან.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 6 ივლისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4469; ევრო - 2.8494;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2211;
100 რუბლი - 3.8757; თურქული ლირა - 0.5289;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4432;
1000 სომხური დრამი - 5.0766.

ამინდი 4 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +21, დღე +41
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +35
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +19, დღე +32
მთიანი რაიონები - ღამე +17, დღე +31
თბილისი: ღამე +25, დღე +39

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge